

სოციალისტის



№ 11

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 11

რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლენხანოვის პროს. სასტუმრო
„ნ.ო.ე“ ოთახი № 102.

ფ ა ს ი
5 კაპ. ბაჭაღლო ოქროთი

რედაქცია და კანტორა
ლ.ი.ა. ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა
დილის 8 ს. შუად. 1 ს.-დჟ.



Handwritten notes:
1. თბილ.
98/1

ლენინს

რისთვის დაგვლახვრე ბუნებავ;
ტვირთშიმე დატანჯულები,
რად დაგვაობლე უდროვოდ
შრომის მებრძოლი შეილები.
რად მოგვიკალი ბელადი,
ეკლიან გზაზედ მავალი.
ეგრე მტრულად რომ მოგვეყარ
განა სხეებიც გვყავ მრავალი?
რისთვის მოგვიძღვენ ეგ რისხვა.

რად დაგვითალხე ნათელი;
თავისუფლების ნორჩ შვილებს
რად ჩავგინელე სანთელი.
მტრებსა რომ ფრთები შეასხი,
ჩვენისა დაობლებითა
გგონია დავიჩრდილებით
შავი ყორნების ფრთებითა?
ჩვენს სხივებს შორ, შორს გავფანტავთ,
აღზნებულ ცეცხლის ალითა,
წინაპრის გენიოსობას

ბევრს დავანახვებთ თვალითა.
ის არ ვართ, რაც რომ ვიყავით
არც ისა, რაც მტრებს ვგონივართ,
მუშა, გლეხი და ფარხ-მალღი
სამივე თანასწორი ვართ.
იმისვე გზითა გავივლით,
კიდევ გავიტანთ ლელოსა,
ქვეყანას დავალევიანებთ
ლენინის საღვთვრძელოსა.

გ. შინატყბალი.

რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

პარტიისა და მსოფლიოებისადმი

მოსკოვი. 23 იანვარი. 21 იანვარს დასრულდა თავისი ცხოვრების გზა ანხ. ლენინმა. გარდაიცვალა ადამიანი, რომელმაც დაარსა ჩვენი ფოლადისებური პარტია, რომელიც აშენებდა მას მთელი წლოვით, რომელსაც მიჰყავდა იგი ცარიზმის თავდასხმების ქვეშ, ასწავლიდა და აკეთებდა მას გააფთრებულ ბრძოლაში მუშათა კლასის გამეცემლობის, ორგუოების და მერყეობის წინააღმდეგ.

მოკვდა ადამიანი, რომლის ხელმძღვანელობითაც ბოლშევიკების შეტყუველი რიგები იბრძოდნენ 1905 წელს, უკან იხევდნენ რაქციის დროს, ხელახლა უტყვედნ და იღვან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მემბროლოთა პირველ რიგებში, შესძლეს მენშევიკების და ესერების იდეური ბატონობის განადგურება, გამომეღვენება და დამბობა.

მოკვდა ადამიანი, რომლის მებრძოლ წინააღმდეგობით ჩვენმა პარტიამ, რომელიც იყო გახვეული ტყვია-წამლის კვამლში, ძლიერ-სილი ხელით აღმართა ოქტომბერის წითელი დროშა მთელ ქვეყანაში, განადგურა მტრების წინააღმდეგობა და დაამკვიდრა ყოფილ მეფის რუსეთში მშრომელთა ბატონობა.

მოკვდა კომინტერნის დამაარსებელი და მსოფლიო კომუნისმის წინამძღოლი, საერთაშორისო პროლეტარიატის სიყვარული და სიამაყე, ჩაგრულ აღმოსავლეთის დროშა, დიქტატურის მეთაური რუსეთში.

არასოდეს მარქსის შემდეგ პროლეტარიატის დიად განმთავისუფლებელ ისტორიას არ წამოუყენებია ისეთი ბუმბერაზი ფიგურა, როგორც ჩვენი განსვენებული ბელადი, მასწავლებელი და მეგობარი. ყველაფერი ის, რაც არის პროლეტარიატში ჭეშმარიტად დიადი და გმირული—უშიშარი გონება, რკინის, შეუღრქველი, მტკიცე, ყველაფრის მძლეველი ნებისყოფა, სამართო სიმტლევილი, სიმტლევილი სიკვდილამდე მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლიუციონური აღტყინება, რომელიც მთებს ამოძრავებს, უსაზღვრო რწმენა მასების შემოქმედებით ძალებისა უდიდესი ორგანიზაციული გენია,—ყველაფერმა ამაღ დიდებული გამოხატულება ჰპოვა ლენინში, რომლის სახელი გახდა სიმბოლო ახალი მსოფლიოს დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.

ლენინს ჰქონდა უნარი დაენახა დიდი და ბატარა, ეწინასწარმეტყველებია დიდი ისტორიული გარდატეხანი—და ამავე დროს მხედველობაში მიეღო და გამოკვეცნება ყოველი წვრილობანი. მას ჰქონდა უნარი, როცა ეს საჭირო იყო, გააფთრებულად თავს დასხმობდა მტერს და როცა საჭირო იყო—უკან დაეხია, რათა მოემზადებია ახალი შეტევა. მისთვის არ არსებობდა არავითარი გაყინული ფორმულა, არავითარი ბუნდოვანება მის ბრძნულ, ყველაფრის მხედველ თავლებში. ვინაიდან ის იყო პროლეტარულ არმიის თანდაყოლილი წინამძღოლი, მუშათა კლასის გენიოსი.

მარქსის საგანძურს ანხ. ლენინმა ბევრი რამ ძვირფასი შემატა. სწორედ მას უნდა უმაღლოდეს მუშათა კლასი პროლეტარულ დიქტატურის, მუშების და გლეხების შორის კავშირის, მებრძოლ პროლეტარიატისათვის ეროვნულ და კოლონიალურ საკითხების მნიშვნელობის გარკვევას და ბოლოს მის მოძღვრებას პარტიის როლის და ბუნების შესახებ. ყველაფერი ეს სიმდიდრე ლენინის ხელში იყო არა როგორც მკვდარი კაპიტალი, არამედ ხორც-შესხმული შეუღარებელი პრაქტიკით. „რევოლიუციის კეთება გაცილებით უფრო სისიამოვნოა, ვიდრე წერა მასზე“ არა ერთხელ უთქვამს ვლადიმერ ილისს. და მთელი თავისი სიცოცხლე—მის შეგნებულ დასაწყისიდან უკანასკნელ განაწამებ ამოსუნთქვამდე—ანხ. ლენინმა შესწირა მუშათა კლასს.

არ ყოფილა და არც არის ადამიანი, რომელიც ასე ყოფილიყო ერთგული თავის საქმისადმი, როგორც ლენინი, რომელმაც თავის უმშვენიერეს ცხოვრებაში არ იცოდა არაფერი, გარდა პარტიის, პროლეტარიატის და კომუნისტურ რევოლიუციის ინტერესებისა.

არ ყოფილა და არც არის ადამიანი, რომელიც ასე ღრმად ეგრძნობ თავისი პასუხისმგებლობა, როგორც მას.

ზეადამიანურმა, მუშაობის თავშეუყავებელმა წყურვილმა, დაუღალავმა აზროვნებამ და თავისი ენერჯის დაუზოგავად დახარჯვამ გასტეტებს ეს ბუმბერაზი ორგანიზმი და სამუდამოდ ჩააქრეს ყველაზე უსაყვარლეს—ჩვენი ილისის სიცოცხლე. მაგრამ ეს ფიზიკური სიკვდილი არ არის მისი საქმის სიკვდილი. ლენინი ცოცხლობს ჩვენი პარტიის ყოველი წევრის ში.სულ ჩვენი პარტიის ყოველი წევრი არის ლენინის ნაწილაკი. მთელი ჩვენი კომუნისტური ოჯახი არის ლენინის კოლექტიური გამოხატულება. ლენინი ცოცხლობს ყოველ პარტიონან მუშის გულში. ლენინი ცოცხლობს ყოველ გლეხის—ლარბი-ბატაკის გულში. ლენინი ცოცხლობს კოლონიების მრავალმილიონიან მონების შორის. ლენინი ცოცხლობს კომუნისმის და ბოლშევიზმისადმი სიმტლევილი—ჩვენი მტრების ბანაკში.

ეხლა, როცა ჩვენ პარტიას თავს დაატყდა ყველაზე მძიმე უბედურება—ილისის სიკვდილი, ჩვენ განსაკუთრებული სიმტკიცით უნდა შევასრულოთ მისი მთავარი აღთქმანი. არასოდეს ლენინი არ ყოფილა ისეთი დიდი, როგორც საშიშროების წუთებში. მაგარი ხელით დაჰყავდა პარტია ამ საფრთხეთა რიგებიდან, შეუღარებელი სიღინჯით და მამაკობით მიდიოდა რა ის თავის მიზნისაკენ. არაფერი არ ეჯავრებოდა და ეზარებოდა ლენინს, როგორც პანიკური აურხაური, შემფოთება. და პარტია აქაც მის გაკვალულ გზას გაჰყავდა.

ის ჩამოგვშორდა ჩვენ საუკუნოთ, ჩვენი შეუღარებელი მებრძოლი ამხანაგი. ხოლო ჩვენ უშიშრად წავალთ წინ... დეე, ანთიონ ბოლმა ჩვენმა მტრებმა ჩვენი დანაკარგის გამო. უბედურები, საწყლები! იმით არ იციან, რას წარმოადგენს ჩვენი პარტია. იმით იმედი აქვთ

იმისი, რომ პარტია დაინგრევა. პარტია კი რკინის ნაბიჯებით წვაე წინ. იმიტომ, რომ იგი არის ლენინის პარტია. იმიტომ, რომ იგი აღზდილია და გამოზრდილი ბრძოლებში. იმიტომ, რომ მას ხელთ აქვს ის აღთქმა, რომელიც დაუტოვა მას ანხ. ლენინმა

მემამულეების და კაპიტალისტების მსოფლიოს კავშირის წინააღმდეგ ჩვენ ავაშენებთ მუშების და გლეხების კავშირს, ჩაგრულ ერების კავშირს. ჩვენ მაგრად ვდგევართ მიწაზე. ევროპის ნანგრევებში ჩვენ ვართ ერთთ-ერთი ქვეყანა, რომელიც მუშათა ხელისუფლების ქვეშ ღირსდებდა და გაბედულად შეტყუერებს თავის მომავალს.

ჩვენი სახელოვანი დროშის გარშემო თავს იყრიან მილიონები. ჩვენი მასწავლებლის სიკვდილი—ეს უდიდესი უბედურება—კიდევ უფრო ძლიერად შეაკავშირებს ჩვენს რიგებს. ერთსულლოვანი ბრძოლის რიგებით ჩვენ მივღვივართ კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად, და ევრაეთთარი ძალები მსოფლიოში ხელს ვერ შეუშლიან ჩვენს საბოლოო გამარჯვებას. ეს გამარჯვება იქნება ყველაზე უკეთესი ძეგლი ანხ. ლენინისა—იმისათვის, რომელსაც, როგორც საუკეთესო მეგობარს, მასებში უწოდებდნენ თავის „ილისს“.

გაუმარჯოს და იცოცხლოს ჩვენმა პარტიამ! გაუმარჯოს მუშათა კლასს!

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მოსკოვი, 1924 წ, 22 იანვარი.



ალარ არის ლენინი!..

ალარ არის ლენინი...
მოჰკვდა ლენინი...

სამუდამოდ დაღუმდა ენა იმ ადამიანის, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ზიდა მძიმე უღელი ბრძოლისა მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ალარ არის საერთაშორისო მუშათა კლასის უღაეო ბელადი, ხელმძღვანელი.

მოჰკვდა ის, ვინც იყო მუშათა კლასის გულის მესაიდუმლე, მისი მეთაური, გზის მაჩვენებელი...

ალარ არის ლენინი, რომელმაც მარქსიზმი პრაქტიკაში გადაიტანა ლენინიზმის სახით და რუსეთის პროლეტარიატს ცხოვრებაში გაატარებია იგი...
დაუნდობელომა, უგუფურმა სიკვდილის ცელმა მოუსპო სიცოცხლე მსოფლიო გენიოსს, რომლის ბადალი თანამედროვე კაცობრიობას არ გააჩნია მეცნიერების არც ერთ დარგში.
შავმა სიკვდილმა არ დაინდო მუდამ მუშათა კლასის საქმისათვის დაუღალავი და უბადლო მებრძოლი და ის ხელიდან გამოგეტაცა...

დაგვაობლა მუშები...
მძიმეა, მეტად მძიმეა ლენინის დაკარგვა. აუნაზღაურებელია მუშათა კლასისათვის ეს დანაკლისი.

ლენინი მოჰკვდა, მაგრამ, როგორც ეს მეორე მასწავლებელმა ტროცკიმ სთქვა, ლენინიზმი ცოცხალია. ცოცხალია ლენინის მოძღვრება, მის მიერ დატოვებული იდეური და პრაქტიკული განძი...

ტ რ ა უ რ ი

(ლენინის გარდაცვალების გამო)

მზემ აპკრიფა სხივები, მიიმალა ღრუბლებში და ქალაქის უბნებში მდუმარება გამეფდა. ჯოჯოხეთის კარებთან

გამოვიდა ფანატი და კერპები აყეფდა.

ეთერში ისახება სიკვდილის სილუეტი; არის ჩემი დუეტი სიციოცხლის და სიკვდილის, არის შიში აჩრდილის—

აჰა, გაქრა სანათი ანთებული შუის დილის.

ამეტყველდა რადიო—ცის სიერცე აათროლო, მწუხრის ქარმა დაჰქროლა ვულკანური გუგუნით. ზღვების მწარე დუღუნით

ტალღა ასე მეტყველებს: „განისვენებს უკუნით“.

სულს აციებს სტიქია და მწუხარე არია. ისმის გლოვის ზარია საკავშირო არეში და სხვა უცხო მხარეში—

ცრემლი თვალებს ასველებს ასეთ სიმწუხარეში.

გლოვის შავი მანტია სასახლებს აქვრივებს, მაგრამ უფრო ამწყვრივებს ხალხთა ლეგიონებსა. მშრომელთ მილიონებსა

მისი წმიდა აღთქმისთვის ჰმატებს სტიქიონებსა.

მიწა ეხლაც ქანაობს ციკლოპების ქარებით, ვეშაპური მთქნარებით დაეცემა კერპები. გადირბენენ წლებები

და ფენიქსის ნახვისთვის ჩვენთან მოვა კვლავ ფები.

გ ა რ ო ლ დ ი .

ლენინი მოჰკვდა, მაგრამ მოჰკვდა მხოლოდ ფიზიკურად, მატერიალურად. სულიერად კი ის მუშათა კლასთან არის და იქნება კიდევ უკიდამ.

მან მუშათა კლასს დაუტოვა ერთი ანდერძი: ეს არის ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდის, ბრძოლა მთელ მსოფლიოში კომუნისმის დასამყარებლად.

ეს ბრძოლა ლენინის აზრით უნდა სწარმოებდეს მუშათა და გლეხთა კავშირის, მჭიდრო კავშირის ნიშნის ქვეშ.

აქეთკენ არის მიმართული დღეს მთელი საბჭოთა ფედერაციის ხელმძღვანელთა გულის ყური... დღეს ყველა, თანახმად ლენინის ანდერძისა, თავს დასტრიალებს „მაკრატლის“ პრობლემის გადაწყვეტას—მუშათა და გლეხთა სრულ დაკავშირებას.

ყველასათვის ახლობელია, ნაცნობია ლენინის სახელი. არ მოიპოვება საბჭოთა ფედერაციაში ერთი ტკუაში მყოფი ადამიანიც კი, რომ ლენინს არ იცნობდეს, ლენინის გავლენას არ განიცდიდეს: თვით პროლეტარიატის მტერს ბანაკშიაც კი უდავოდ იყო და არის მიჩნეული ლენინის გენიოსობა.

მარქსი და ლენინი.

აი ორი გენიოსი, რომელიც მოგვცა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში...

ლენინს იცნობს არა მარტო საბჭოთა ფედერაცია, არამედ მსოფლიოს მშრომელი და არა მშრომელი ნაწილი.

ის ცნობილი იყო და არის, როგორც ტვირთ-მძიმეთა და მშვერალთა დამცველი და მეთაური...

ის ცნობილია აგრეთვე, როგორც დაზარულ მცირე ერთა დამცველი, ქომავი.

ისტორიამ მას არგუნა ისეთი საქმის გაკეთება, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა. იმავე ისტორიამ მას დააკისრა ამ საქმის კეთება განუფიქრებელ, ჩამორჩენილ რუსეთის ფარგლებში. ამას ის გარძობდა და აკი წამოაყენა დამკვრელ ამოცანად, როგორც ტენნიკის განვითარება, ელექტროფიკაცია, ისე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ეს მას მიაჩნდა კომუნისმის საბოლოო გამარჯვების პირობად...

ამაზე აქ იმითომ ვლაპარაკობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინის ხსოვნის საპატივცემლოდ გაასკეცებული ენერგიით იბრძოლოს ამ სამ ფრონტზე: მუშათა და გლეხთა დაახლოვება, კავშირზე, ელექტროფიკაცია და წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობაზე... ეს არის კომუნისმის საბოლოო გამარჯვების პირობა...

ჩვენთვის, ყოფილ მკნაშევიკებისათვის მეტად მძიმე და საგრძნობია ამხ. ლენინის დაკარგვა. მძიმეა განსაკუთრებით იმითომ, რომ ჩვენ მხოლოდ ახლა, უკანასკნელ ხანებში ვიწამეთ ლენინი. ლენინი ჩვენ, მუშებს, მუდამ გვწამდა, მაგრამ ლენინიზმი სავსებით და სრულად მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ვიწამეთ. ჩვენ ვიწამეთ აგრეთვე მის მიერ დაარსებულ, მისი პირმო შვილი დიდი ოქტომბერი, კომინტერნი და კომპარტია. ჩვენი დიდი სურვილი იყო ლენინი გვენახა გაჯანსაღებული და ცოცხალი ჩვენი მეთაურად, ხელმძღვანე-

ლად. მაგრამ ბუნების უაზრო კანონმა მოუხსმო სიციოცხლ ამ დიდებულ ადამიანს...

ლენინიზმი და მის მიერ დატოვებული ანდერძი მუდამ იქნება ჩვენთვის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად, მაგრამ გული გვტყვივა, საშინლად გვტყვივა, რომ ლენინი აღარა გვყავს. ჩვენს მწუხარებას, ვაის და ვიშს ეუფრთვით ყველა მუშების მწუხარებას და ვამბობთ: ლენინი აღარა გვყავს, მარა ლენინის ნაცვლად გვაქვს ფოლადისებური, ლენინის მიერ დაარსებული და გაზრდილი კომუნისტური პარტია, რომელიც დიდებულ მასწავლებლის ნაჩვენები გზით დასახულ მიზნისკენ უმოზრად და მტკიცედ წაიყვანს საერთაშორისო მუშათა კლასს.

ლენინი მოჰკვდა, მაგრამ ლენინიზმი ცოცხალია და ამიერიდან ლენინიზმი ულენინოდ გაუძღვება მუშათა კლასს კომუნისმის საბოლოო გამარჯვებისკენ...



ლ. ტროცკის წერილი

ლენინის სიკვდილის გამო

ლენინი არ არის... აღარა გვყავს ლენინი. ბნელმა კანონებმა, რომლებიც განაგებენ სისხლის ძარღვების მუშაობას, შესწყვიტეს ეს სიციოცხლე. მედიცინა უძლური აღმოჩნდა იმის შესრულებაში, რასაც მისგან გულის ფანტკა-

ლით მოელოდნენ და მოითხოვდნენ მილიონ ადამიანთა გულები.

და რამდენია მათ შორის ისეთები, რომლებიც წარბ შეუხრებლად და დაუფიქრებლად დასთმობდნენ თავის სიციოცხლს, თავის სისხლს უკანასკნელ წვეთამდე—რომ გააცოცხლონ, გაანახლონ უდიდესი ბეადაის, ლენინის, ილიჩის, ერთად ერთის და გაუმეორებელის სისხლის ძარღვების მუშაობა.

მაგრამ სასწაული არ მოხდა იქ, სადაც უძლური აღმოჩნდა მეცნიერება.

და აი, ლენინი აღარ გვყავს... ეს სიტყვები ისეთი სიმძიმით ვარდებიან ჩვენს გონებაში, როგორც უზარმაზარი კლდე ზღვაში.

შეიძლება ამის დაჯერება?

შეიძლება ამის აღიარება?

მთელი ქვეყნის მშრომელთა აზრი არ მიიღებს ამ ფაქტს: ვინაიდან ჯერ კიდევ ძლიერია მტერი, ვინაიდან ჯერ კიდევ გრძელდება, ვინაიდან ჯერ კიდევ დაუსრულებელია მუშაობა—უდიდესი ისტორიაში. ვინაიდან ლენინი ესაქირობა მსოფლიო მუშათა კლასს უფრო მეტად, ვიდრე, შესაძლებელია, არავინ არ დასჭირდება მას კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე.

ათ თვეზე მეტე გრძელდებოდა ავადმყოფობის მეორე შეტევა, უფრო მძიმე, ვიდრე პირველი. სისხლის ძარღვების—ეკიმების მწარე გამოთქმით—სულ მუდამ „თამაშობდნენ“ ეს

დიდ მასწავლებელს, დიდ „ილიჩს“ ტირი-
ლი არ ეკადრება.

პირმოხუშული, მგლოვიარეა დღეს მშრომე-
ლი.

მოკვდა „ილიჩი“.

არ ასვენებს მას ეს მიძიმე, ტვინის მღრნე-
ლი აზრი...

მაგრამ მუშას ოდესმე იმედი დაუკარგავს?
განა მის გულს ოდესმე ბზარი გაჰკარებია?

მოკვდა ილიჩი, აღარ არის ლენინი, მაგრამ
ლენინის გზა ხომ აქა გვაქვს თვალ წინ...

მისი სკოლა ხომ ცოცხალია...

მისი თანამებრძოლი აზნაზაგები ხომ არ და-
ხიცილან მასთან ერთად.

აქ არ არის დიდი ილიჩის პირმშო შვილი
კომინტერნი?

განა რამე გაუშკლავდება მთელი ქვეყნის
შეერთებულ პროლეტარების მტკიცე ნების-
ყოფას?

არა. მუშახარებით მოკულ მშრომელთა მთე-
ლი ამ დიდი დანაკლისითაც არ გაიბზარება,
არ გასტყდება.

დღეს მთელი ქვეყნის მშრომელები, მუშები,
გლეხები შეპფიციებს ერთხმად ამხ. ლენინის
გაცივებულ ცხედარს.

„არ შედრკე, ვერ მოსტებს სიკვდილი შენს
ძლიერებას დიდო მასწავლებლო და ბელა-
ლო!“

გაივლის წლები, გავა დრო, რევოლიუციო-
ნური პროლეტარიატი დაამსხვრევს მონობის
უღელს, აფრიალდება მთელს დედამიწაზე წი-
თელი დროშა...

დასქექს თავისუფალი შრონის ბუქი და ნა-
ლარა...

მაშინ კვლავ შესძახებს მსოფლო პროლე-
ტარიატი დიდ მასწავლებელს, „ილიჩი! აღ-
სრულდა ის, რასაც შენ ეტრფოდი, რასაც
შენ შეაღიე შენი ცხოვრება და რისთვისაც
დაფერფლე შენი გენია, მშრომელ ხალხის
ხელშია მთელი ქვეყანა, წითელი დროშა
მხესთან ერთად ეღვარებს და უნათებს მშრო-
მელ ხალხს.

იხარე ილიჩი!

დიახ დადგება ასეთი დრო.

ამის თავდებია კომუნისტური პარტიის სიმ-
ტკიცე და სიძლიერე...

ამის თავდებია ლენინის მიერ ნაკაფი გზა...
ეს იცის მთელი ქვეყნის მშრომელმა მასსამ
და ამიტომ არის, რომ მუშათა უბანი არ
სტირის.

ის შექუმული კუნთებით, დაღვრემილი და
სეფლიანია...

მას უტირს, სტივა „ილიჩის“ მოცილება ამ
მიძიმე გზაზე უმისოდ სვლა, მაგრამ დიდ ილიჩს
კრემლებს, განშორებისას მიინც არ შესთავა-
ზებს. იცის მშრომელმა ხალხმა, რომ კრემ-
ლები „ილიჩს“ არ უყვარდა უკანასკნელი მი-
სი ნაფიქრი გონების ნაკენსი მშრომელთა
გამარჯვებისათვის იქნებოდა.

მაშ, შეფეციოთ მას, რომ ჩვენც თავს დაე-
დებთ იმ დიდი საქმისათვის, რასაც შეეწირა
ლენინის გენია.

3. ქოროშელი.

უკვდავია ილიჩი!

ლენინი არასოდეს არ მოკვდება. განა მო-
კვდება ის ადამიანი, რომელმაც მოაგროვა და
შეაერთა მთელი ქვეყნის მშრომელები მე-III
კომუნისტურ ინტერნაციონალში? არა, არ მო-
კვდება ასეთი ადამიანი. ის ჩვენ გულში იქნე-
ბა აღმეტილი.

ამხ. ლენინმა დასტოვა თავისი მემკვიდრე—
ეს არის კომუნისტური ინტერნაციონალი რომ-
ელიც დააგვირგვინებს ლენინის მიერ დაწყე-
ბულ საქმეს. ლენინი მესამე კომინტერნის მე-
თაური და მისი მამამთავარი ისე არ მოკვდე-
ბა, როგორც არ მოკვდარა მარქსი და ენ-
გელსი, რომელთაც მტკიცე საფუძველი ჩაუ-
ყარეს კომუნისტების იდეებს, ლენინი მანამდის
არ მოკვდება, სანამ არ მოკვდება მთელი ქვე-
ყნის პროლეტარიატი. ეს კი არასოდეს არ
მოხდება, გული და სული ოქტომბრის რევო-
ლიუციის არასოდეს არ მოკვდება.

ქ. თოფაძე.



ის არ მოგვდარა, მისი სი- კვდილი არ შეიკლავა.

(ამხ., ლენინის გარდაცვალების გამო.)

Пусть жертвенник разбит
Огонь еще пылает,
Пусть арфа сломана
Аккорд еще рыдает.

გლოვა... შავმა ღრუბელმა მოიცვა სოცია-
ლისტური საბჭოთა კავშირების რესპუბლიკე-
ბი. ცხარე ცრემლებით აქვითინდა გამარჯვე-
ბაში გამოსულ, ჯერ ჭრილობებ მოუშუშებე-
ლი ამ რესპუბლიკების პროლეტარიატი. გარ-
დაიცვალაო?! მაგრამ არ გვეჯერა, ვერც და-
ვიჯერებთ, რომ ჩვენ მოგვიკვდა ჩვენი ხელ-
მძღვანელი, ჩვენი ფოლადისებური სიმტკიცით
გაუღენილი, დაუშრეტელი ენერგიით სავსე,
მსოფლიოში პირველად სოციალისტური რე-
ვოლიუციის ალის მომდები, უდიდესი მასწა-
ვლებელი და გენიოსი ვლადიმერ ილიას ძე
ლენინი...

ვტირით ცხარე ცრემლებით... ობლად დაე-
რჩით... აღარა გვეყავს ხელმძღვანელი...

შვი ყორანი სულს უფთავდა, ფიზიკურად
აწამებდა ჩვენს საყვარელს, ოქტომბრის რე-
ვოლიუციის მთავარს ხელმძღვანელს. იმან გა-
დაიტანა ყოველივე სუსხი და გაქირვება რე-
ვოლიუციის, მისი მაჯის ცემა ერთ წუთსაც
არ შეჩერებულა, ყოველივე დაბრკოლება გა-
დალაზა და ხელებ დაკოერილი პროლეტა-
რიატიც—რევოლიუციის კრიტიკულ მომენ-
ტში გამარჯვებული გამოიყვანა. მან ჩააბარა
პროლეტარიატს თავისივე სისხლით შეღები-
ლი წითელი რევოლიუციონური დროშა და
მანვე მისცა მუშებს და გლეხებს მუშურ-გლე-
ხური ხელისუფლება...

ვის არ ახსოვს ამხ. ლენინის მოუსვენრობა,
მისი რევოლიუციონური აჯანყებები... მისი
მუღმივე დევნილობა—ემიგრანტობა?! მოხდა
რევოლიუცია, ამნისტიის ძალით, ჩამოვიდა
ემიგრანტობიდან, რამდენი უბედურობა არ
გადაიტანა; კვლავ დევნილობა... მოსყიდუ-
ლი ჯამუშის სახელითაც კი მონათლეს,

აზნაზაგ ლენინის ხსოვნას

მოღუშულია ბუნება,
დამწუხრებულან ყველანი;
ვატივდა გული მგრძობელი;
შემდგარა მისი ძვირანი.

არ მომდინარობს ნაკადათ
მოაზრის აზრთა დენანი,
მშრომელთა მწარე გოდებას,
ვერ გამოსთქვამენ ენანი.

თანამგრძნობელთა სახეზე,
ემწინეთ სევდის დაღები;
ჭლოვობენ ბელადს, დიდებულს,
მშობლებს ბაძავენ ბალები.

გაისმის მწარე ქეთინი,
ცრემლებს აფრქვევს ცხარესა,
დიდი ცხედარი აერთებს
მსოფლიოს ყველა მხარესა.

შაქრო ნავთლულელი.

1924 წ., იანვრის 22-ი.

მაგრამ მას ამის არ შეეშინდა და როდესაც
დაინახა, რომ რევოლიუცია დაღუპვისაკენ მი-
დიოდა და ბურჟუაზიაც კოალაციის თამა-
შით ლამობდა თავის ბატონობის განხორციე-
ლებას და პროლეტარიატის დასამარებისა,
ჩვენ ამ დროს ეხედეთ ამხ., ლენინი უღდება
სათავეში ამ ბედით განწირულს პროლეტარიატს
და აწყობს უდიდეს პროლეტარულ გადატრი-
ალებას, რასაც შედეგათ მოჰყვა ერთი დაკ-
ვრით ბურჟუაზიის გაციმტვერება და აი იქ ამ
რევოლიუციის პირველ დღეს არის ერთი მშვე-
ნიერი დღე და მომენტი მის ცხოვრებაში, რა-
საც ისტორია წითელი ასოებით აღნიშნავს
„როდესაც ყველა პასუხისმგებელ აზნაზაგებს
შეეშინდათ ძალა-უფლების ხელში აღება, ამხ.
ლენინი, მხოლოდ ორი აზნაზაგით შეურყე-
ვლად, უყოყმანით ამხ. ტროცკის და სტალინის
დახმარებით ხელში იღებს ძალა-უფლებას...

ვინ გაჰპყვდავდა ამას?! მხოლოდ ლენინი,
ენერგიით სავსე, გულით მედგარი, რწმენით
მტკიცე, ჭკუით გენიოსი...

გაიარა დრომ, რევოლიუციამ მას გამარჯვე-
ბის გვირგვინი უძღვნა... მაგრამ ამით ვითომ
დაისვენა ამხ. ლენინმა?!

ლენინი იყო თავი და წვერი, როგორც რე-
ვოლიუციის, ისე პარტიის... ლენინი ამტკიცე-
ბდა და მჭიდროდ აკავშირებდა მის როგვს.
პარტიაში დეზორგანიზაციის შეტანა, გაუგებ-
რობა—ეს ლენინის მაჯის ცემა იყო და მაშინ-
ნათვე გამოსავალსაც ის მონახავდა, ლენინი
იყო მებრძოლი და მასთანვე თითონაც უბრა-
ლო ამარულლებელიც... ასე ვინ მოსთვლის, ვინ,
ან რა იყო ლენინი... მან შექმნა ეპოქა ლენი-
ნიზმი და ამ ეპოქის აღწერასაც მრავალი ტო-
მები დასჭირდება.

21 იანვრის ღამე ელვის სისწრაფით შა-
ვით შემოსა მთელი თფილისი, ირგვლივ სა-
შინელი მგლოვიარობა, აღარა გვეყავს უდიდე-
სი ნიჭის პატრონი, ჩვენი გაბედული ხელ-
მძღვანელი, ჩვენი გენიოსი ლენინი.

დაუნდობელმა, ყველასათვის განურჩეველმა
სიკვილიმა ხელიდან გამოგვტაცა, მთელი ქვეყ-
ნის მოზანზარე, ბურჟუაზიის შიშის მგვრელი
ჩვენი საყვარელი მასწავლებელი და ხელმძღვა-
ნელი.

კონტრ-რევოლუციონერ ხელიდან გამო-სროლილი ტყვიამ გაუმწარა სიოცხლის უკანასკნელი წლები მსოფლიო რევოლუციისათვის თავდადებულს ზელადს. მან თავისი მომკილოთ თვითვე ვერ დასტკბა, მან დაუფრთხო ძილი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას და ჩვენი, ამხანაგებო უდიდესი ანდერძი დაგვიტოვა; მჭიდროთ რიგებში. არამც და არამც ჩვენი გათიშვა არ შეიძლება; ბრძოლა, სულ ბრძოლა მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

ლენინი მოკვდა!.. ვინ წარმოიდგენს ამას? ლენინიზმს ნუ თუ სიკვდილი შეუძლია?! ლენინი მოკვდა ფიზიკურათ, ჩვენ აწი ვეღარ ვიხილავთ მის ენერჯიულს მოუხვენარს სახეს, მაგრამ ლენინიზმს ჩვენში აწ ვეღარ ამოშლის ვერავითარი კონტრ-რევოლუცია.

და ამისთვისაც არ გვეჩვენა ჩვენ, რომ ლენინი მოკვდა, ლენინი იცოცხლებს ჩვენში. ბურჟუაზია ამხ., ლენინის სიკვდილით სიხარულით ხითხითებს, თითქოს შური იძია რევოლუციანზე, საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატი კი ზღვა ცრემლს აფრქვევს, მწარედ მოსთქვამს, თავის გენიოს ხელმძღვანელის უდროით დაკარგვაზე. მაგრამ გენიონოდეთ პროლეტარიატის რისხვის ცრემლში ჩაიღრვებით თქვენ...

ჩვენ კი, მჭიდროთ, ამხანაგებო, ამხ., ლენინის დაწყებული საქმე პირნათლად დავაგვირგვინოთ, მისი ანდერძი ბეჯითად შევასრულოთ...

ის არ მომეკდარა, მისი სიკვდილი არ შეიძლება.

ილიკო ჯუღელი.



ახს. ლენინის მოღვაწეობის მოკლე დახასიათება.

ვლადიმერ ლენინი ულიანოვი დაიბადა 1870 წლის აპრილის 10-ს ქალაქ სიმბირსკში. მისი მამა გლეხი, იყო სახალხო სასწავლებლების დირექტორად ვოლგაზე და ის ძალიან უყვარდათ ოლქის ყველა მასწავლებლებს.

ლენინის უფროსი ძმა დახვრიტა აღექსანდრე მესამემ და ამის შემდეგ დედამ მთელი თავისი სიყვარული გადაიტანა ლენინზე. ამასაც მეტად უყვარდა თავისი მოხუცებული დედა, რომელიც გარდაიცვალა 1913 წელს. მეფის მთავრობის მიერ დევნილი ლენინი უარს ამბობდა ყოველგვარ სამუშაოზე და სტოგებდა ყველაფერს და მიდიოდა შვეიცარიაში თავის დედის სანახავათ.

ახს. ლენინი უნივერსიტეტში.

გინაზიის დასრულების შემდეგ, ლენინი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტის იურადიულ ფაკულტეტზე. პეტროგრადის და მოსკოვის უნივერსიტეტებში მას არ შეეძლო შესვლა, ვინაიდან ის იყო დახვრეტილი ტრიბუნის ძმა. მაგრამ უნივერსიტეტში ლენინი დიდხანს არ დარჩენილა. ერთი თვის შემდეგ ის გამოაჩიქეს უნივერსიტეტიდან სტუდენტების რევოლუციონერ მოძრაობაში მონაწილეობის გამო. მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ მიეცა მას საშუალება ჩაებარება გამოცდებში.

ყაზანის უნივერსიტეტიდან გამოაჩიქვის შემდეგ ის ჩავიდა პეტროგრადში. ლენინმა პირველად მუშაობა სტუდენტების წრეში დაიწყო.

ლენინის პირველი რევოლუციონერი მუშაობა.

პეტროგრადში ჩასვლის 1 და 2 წლის შემდეგ ლენინმა დაარსა პირველი მუშური წრეები და შემოიკრიბა თავის გარშემო ინტელიგენტ-მარქსისტების პირველი ჯგუფი. სულ მოკლე ხნის შემდეგ ლენინს მოუხდა პირველი ბრძოლა ხალხონების ძველ და ცნობილ მეთაურთან **მისაილოვსკისთან**. ლენინი (ილიის სახელით) გამოვიდა ეკონომიურ ხასიათის მრავალ წერილით და მაშინათვე მოიხვეჭა სახელი.

ამ ინტელიგენტ-მარქსისტებისა და მუშების დახმარებით ლენინმა დაარსა „ბრძოლის კავშირი მუშათა კლასის განსათავისუფლებლათ“. ამ ორგანიზაციის დავალებით ის აწყოებს გაფიცვებს, სწერს მოკლე ფურცლებს, რომელშიც აყენებს მუშების ეკონომიურ მოთხოვნ-ლებებს.

დაპატიმრება და გადასახლება.

ამ მუშაობის დროს, მე 90 წლებში ლენინი დაიჭირეს და გადასახლეს ციმბირში. იქ მან დაიწყო ლიტერატურული მუშაობა. დაწერა რამდენიმე წიგნი, მათ შორის: „რუსეთის სლიკო-დემოკრატების ამოცანები.“ ამ წიგნში მან მარქსისტულად გააშუქა საკითხი სოციალისტურ მოძრაობის შესახებ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული, როგორ დამოკიდებულებაში იყო მუშების პოლიტიკური ბრძოლა თვით-მყრობლობის წინააღმდეგ პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლასთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეგრეთ-წოდებული „ეკონომისტები“ ამბობდნენ, რომ პოლიტიკური ბრძოლა უნდა მივიანდოთ მემარცხენე ბურჟუაზიას, მუშათა კლასის ამოცანაა—ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის, ამხ. ლენინმა პლენხანოვთან ერთად, საუცხოვრო გააშუქა რუსეთში არსებულ ძალთა ურთიერთობა:

— ჩვენ არ უნდა უცადოთ პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებას მუშათა პარტიის დასაარსებლათ. არა, ამბობდა ის. ჩვენ ევროპას ჩამოვრჩით ასი წლით არა იმისათვის, რომ უცადოთ, თუ როდის აიღებს ბურჟუაზია ხელისუფლებას და მაშინ დავაარსოთ მუშათა პარტია. არა, სწორეთ ეხლა, ამ საშინლათ მძიმე პირობებში ჩვენ დავაარსებთ მუშების დამოუკიდებელ კლასიურ, სოციალისტურ პარტიას; რომელიც უკვე იბრძოლებს, როგორც თვითმპყრობლობის, აგრეთვე ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

როგორ აფახებდნენ ლენინის გამოსვლას.

ამ დროს შვეიცარიაში მუშაობდა წრე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ **პლენხანოვი, აქსელროდი** და **ზახუელიჩი**, რუსეთის სოციალ-დემოკრატების პირველი დამაარსებელი. ისინი უკვე 15 წელზე მეტს ცხოვრობდნენ საზღვარ-გარეთ. როდესაც მათ მოუვიდათ ლენინის პირველი წიგნი, ისინი აღტაცებაში მოვიდნენ. პაველე აქსელროდის, რომელიც მაშინ ქეშმარიტი სოციალისტი იყო, აღტაცებას სა-

ზღვარი არ ქონდა. ის ამბობდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში აღმოჩნდა უდიდესი ძალა, ამოდის ახალი ვარსკვლავი. აქსელროდმა დაწერა წინასიტყვაობა ამ წიგნისათვის, რომელშიც ქებით შემოსა ლენინის სახელი. ის სწერდა, რომ პლენხანოვის შემდეგ ლენინი მუშათა მოძრაობის პირველი მეთაურია, ის დიდი ძალაა, რომელსაც დიდი მოვალეობა მოეღის.

აქსელროდი, სიმართლე უნდა ითქვას, რ შემდეგარა.

ლენინი საზღვარ გარეთ.

ციმბირიდან დაბრუნებისთანავე ლენინი იძულებული ხდება გაემგზავროს საზღვარ-გარეთ.

ორჯერ იყო ლენინი საზღვარ-გარეთ. ის იტანჯებოდა იქ, როგორც ლომი გალიაში. მას არ ქონდა საშუალება გამოეყენებია თავისი დაუმრეტელი ენერჯია, მას სწყურდა მუშაობა. თავის დროს ის ატარებდა ისე, როგორც გადასახლებული მარქსი. დღემდე 15 საათს ის ატარებდა ბიბლიოთეკაში და კითხულობდა. სწორედ ამიტომაც რომ დღეს ლენინი ერთი საუკეთესო მცოდნე პირთაგანია მთელ მსოფლიოში.

1901 წელს მარტოვ და პოტრესოვთან ერთად ლენინმა დაიწყო გაზეთ „ისკრა“ს გამოცემა. ამ გაზეთს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ის მჭიდროთ არის დაკავშირებული ლენინის სახელთან. ყველა მეგობრებიც მას „ლენინის ისკრა“ს უწოდებდნენ, „ისკრა“ პოლიტიკურ ბრძოლასა და დიდი საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებდა. „ისკრა“ კრეფდა თავის გარშემო პარტიის დაქსაქსულ ძალებს, ებრძოდა „ეკონომისტებს“ ეხლანდელ მენშევიკების წინამორბედს სოციალისტ-რევოლუციონერებს და ყველა იმათ, ვისაც ყალბათ ესმოდა მუშათა მოძრაობის ამოცანები და მიზნები.

მუშური პარტიის დაარსება.

გაზეთ „ისკრა“-სთან ერთად ლენინმა დაიწყო მუშაობა მუშური პარტიის დასაარსებლათ. მან შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი. ლენინი, რომელსაც უმოავრესად უხდებოდა ლიტერატურული მუშაობა „ისკრა“-ში და ჟურნალ „ზარია“-ში, ამავე დროს ამ კომიტეტის სულის ჩამდგმელი იყო. ლენინის ცოლი, ნადეჟდა კრუპსკაია ულიანოვა, იყო „ისკრა“-ს და საორგანიზაციო კომიტეტის მდივანთ.

განხეთქილება.

„ისკრა“-ს რედაქციაში მოხდა განხეთქილება. ის მენშევიკების ხელში გადავიდა. ლენინმა კი თავი დაანება მას და დაიწყო პირველ ბოლშევიკურ გაზეთის „ვეპროდი“-ს გამოცემა.

მდგომარეობა არ იყო ლენინისათვის ხელსაყრელი პლენხანოვის, მარტოვის და სხვა მენშევიკების მხარეზე იყო სოციალისტების უმრავლესობა. მათ ქონდათ ფული და გავლენა. ლენინს კი ქონდა სულ პატარა გაზეთი—ფურცელი, რომელიც გამოდიოდა საზღვარ გარეთ დიდი გაჭირვებით. მაგრამ ლენინმა მედგრად დაიწყო ბრძოლა. 1905 წლის ბოლშევიკების

პირველ კრილოზაზე უკვე ჩაეყარა საფუძველი ესლანდელ კომუნისტურ პარტიას. მაშინ დაიწყო ლაპარაკი ლენინმა იმაზე, რომ ევროპის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა უფარგისი-აო. აქ სავესებით გამოაშკარავდა, რომ რუსეთში მუშათა მოძრაობის და სოციალისტურ რევოლუციის მეთაურობა ისტორიამ ლენინს დააკისრა.

1905 წელი.

ეს ნათელი გახდა უკვე 1905 წლის რევოლუციაში. პეტროგრადის მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო 1905 წელში მენშევიკებმა დაარსეს, მაგრამ თავის მუშაობაში პეტროგრადის საბჭო მაშინვე მიდიოდა ლენინის მიერ ნაჩვენებ გზით. როდესაც რევოლუციონერული ტალღა ამოძრავდა და გადალახა ნაპირები, მაშინ მუშათა კლასმა იგრძნო საბჭოების აუცილებლობა და ამ დროიდან მუშათა კლასი ლენინის მიმდევარი, ბოლშევიკური გახდა.

მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება, თუმცა ის დამარცხდა, მაინც ბოლშევიზმის პოლიტიკის გამარჯვება იყო.

1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მენშევიკებიც აღიარებდნენ, რომ მუშათა-კლასი წავიდა ბოლშევიკების გზით და ამიტომ დამარცხდაო. პლენაროვი ამბობდა, რომ მოსკოვის მუშებს არ უნდა აეღოთ ხელში იარაღი.

სხვანაირათ უყურებდა მოსკოვის აჯანყებას ლენინი. მას მიაკუთვნა მან უდიდესი ადგილი 1905-ის რევოლუციაში. ის კარგათ გრძნობდა, რომ მოსკოვის აჯანყება იყო პროლეტარიატის პირველი შეიარაღებული შეტაკება ბურჟუაზიასთან. მას კარგად ესმოდა მოსკოვის აჯანყების საერთაშორისო-ისტორიული მნიშვნელობა.

ლენინი სულ ორჯერ იყო პეტროგრადის საბჭოს სხდომებზე. ის იჯდა ქანდარაზე ხალხთან და იქიდან უყურებდა სხდომებს. პარტიის აუქრძალა მას საბჭოში გამოსვლა. პარტიის ოფიციალურ წარმომადგენლათ გამოვიდა ა. ა. ბოგდანოვი. როდესაც გამოირკვა, რომ საბჭოს დაიპყრენ, ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინს საბჭოს სხდომაზე მისვლაც აუკრძალა. მაგრამ საბჭოს ლენინი უყურებდა, როგორც მუშების პარლამენტს, მაშინ ჩაისახა აზრი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. ალბათ მაშინ ოცნებობდა ის იმ დროზე, როდესაც დამყარდება საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოები გახდებიან ქვეყნის ხელისუფალნიო.

1905 წელშივე ამბობდა ანხ. ლენინი, რომ საბჭო შემთხვევითი ორგანიზაცია როდია, რომ საბჭოებით დაიწყება ახალი ხანა საერთაშორისო პროლეტარიატის და მთელ კაცობრიობის ისტორიაშიო.

1905 წლის შედეგები.

1905 წლის შემდეგ დამყარდა საშინელი კონტრ-რევოლუციის ხანა. ყველა შეუღდა რუსეთის პირველ-რევოლუციის და მის შედეგების შეფასებას.

მენშევიკების აზრით ეს იყო შეცდომა სიგიჟე; მუშებმა გადააქარბეს თავის მოთხოვნებებში და ამიტომ დამარცხდნო.

ლენინი კი ამბობდა, რომ ეს იყო უდიდესი რევოლუცია და არა იმიტომ, რომ მას მოჰყვა 17 ოქტომბრის მანიფესტი, არამედ იმიტომ, რომ მან გამოიწვია მოსკოვის მუშების შეიარაღებული აჯანყება და შექმნა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭო.

რევოლუცია ცვლავ განახლდება, სწერდა ლენინი. განახლდებიან საბჭოები, საბჭოები გაიმარჯვებენ.

ლენინის მეორეთ გამგზავრება საზღვარ-გარეთ.

1908—9—1910 წლები ლენინმა საზღვარ-გარეთ გაატარა. აქ ის სხვა ამხანაგებთან ერთად შეუღდა თეორეტიულ მუშაობას. ეს იყო ზნეობრივ დაცემის ხანა. ძველ მეთაურებს, რომლებმაც მთელი თავისი დრო ბრძოლაში გაატარეს, დაეკარგათ ყოველგვარი რწმენა, მრავალი გადადგა და მრავალმა უარყო ძველი შეხედულებანი. სტოლიპინი ზემოზნდა.

ამ ხანაში ლენინი დიდ გაჭირვებას განიცდიდა, ცხოვრობდა, როგორც მათხოვარი, შიმშილობდა, ავადმყოფობდა. მაგრამ ის ერთადერთი იყო, რომელსაც არ დაეკარგა რწმენა, რომელიც სავეს იყო იმედებით და ბრძოლის ხალისით. მან შემოიკრიბა თავის გარშემო ამხანაგები და ეუბნებოდა მათ: შავი ხანა გაივლის, რევოლუცია ისევ დაიწყებაო

ამ აძიმე დროში ლენინმა უდიდესი დახმარება აღმოუჩინა მუშათა კლასს. სტოლიპინი აზრობდა მუშათა კლასის, მისი მეთაურებმა ხელი აიღეს ბრძოლაზე და მუშაობაზე და ასეთ დროს ლენინმა ააფრიალა ბრძოლის დროში და დაუღალავათ მუშაობდა.

ლენინი სწერდა წერილებს, იცავდა მარქსიზმს ყოველგვარ თავდასხმისაგან. მან დაწერა მრავალი ფილოსოფიური წერილები, რომლებმაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რევოლუციონურ მარქსიზმის ისტორიაში.

1911 წელში მუშათა მოძრაობა რუსეთში ისევ ვაცხოველდა. ლენის ამბებით დაიწყო ეს მოძრაობა. ამ დროს პეტროგრადში გამოდიოდა გაზეთი „ვარსკლავი“ და მოსკოვში ჟურნალი „აზრი“, ქსახელმწიფო სათათბიროში კი იყო მუშების პატარა ფრაქცია. ამ გაზეთებში და სათათბიროს ფრაქციაში მთავარი მომუშავე იყო ლენინი.

ლენინი ამზადებდა მუშებს, ფრაქციის წევრებს სათათბიროში სამუშაოთ, ასწავლიდა მათ, როგორ ემოქმედათ, რა ეთქვათ. მართლაც გაიწვრთნენ მუშები და თავრიდის სასახლეში, სათათბიროს ტრიბუნლიდან ქადაგებდნენ ლენინის აზრებს.

1912 წე ს ანხ. ლენინი და ზინოვიევი გადავიდნენ კრაკოვში (პოლონეთში). მათ დამყარეს მკვიდრო კავშირი პეტროგრადის მუშებთან. პეტროგრადიდან მრავალ ათას ევრსით დაშორებულ ლენინის მებრძოლი სული პეტროგრადის მუშებთან იყო, ამხნევებდა მათ და ამზადებდა ბრძოლისათვის. კავშირი ისეთი მკვიდრო იყო, რომ იშვიათი იყო „პრავდის“ ისეთი ნომერი, რომელშიც არ ყოფილიყო ლენინის წერილი. ამ წერილებში ის თავისებურ ნიჭით აშუქებდა ყოველდღიურ საკიბოროტო საკითხებს და იძლეოდა განმარტებებს.

იმპერიალისტური ომი.

როდესაც დაიწყო იმპერიალისტური ომი, ლენინი და ზინოვიევი გალიციის ერთ მიჯარინდელ სოფელში ცხოვრობდნენ. ლენინს მაშინ იმედი ჰქონდა, რომ გერმანიამო სოციალ-დემოკრატია მაინც გამოვა ომის წინააღმდეგ. მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა და-ამტკიცეს თავისი გაკოტრება. მათ მხარი დაუჭირეს ომს.

როდესაც ლენინი დაწმუნდა ამაში, პირველი მისი სიტყვები იყო: „მეორე ინტერნაციონალი მოკედა“. ამ სიტყვებმა დიდი აურზაური გამოიწვიეს. მეორე ინტერნაციონალი მაშინ მეტად პატივსაცემი ორგანიზაცია იყო. იქ მუშაობდნენ ცნობილი სოციალისტები: კაუცი, ვანდერველდე, გედი, პლენაროვი. და აი მათ წინააღმდეგ აიმალო ხმა ლენინმა.

კოტანი იყვენ სოციალისტები, რომლებიც თანაუგრძობდნენ მაშინ ლენინს.

ლენინმა დაიწყო ბრძოლა ომის წინააღმდეგ. ის შევიცარიაში გადავიდა. აქ აარსებდა ის ინტერნაციონალისტების წრეებს. შევიცარიის სოციალ-დემოკრატიის პარტიაში შემთხვევებულები წარმოადგენდნენ უმრავლესობას, იყო მხოლოდ მუშების პატარა ჯგუფი, რომელიც გაერთიანდა ლენინის გარშემო. ლენინი კი არ ზოგავდა თავის ძალებს 10—20 მუშებისაგან შემდგარ ომის საწინააღმდეგო წრეების დასაარსებლათ.

1915—17 წლებში ლენინი სრულიად გამოიცვალა. მას არასდროს არ უყვარდა ბურჟუაზია, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ ის სასტიკ სიძულვილს გრძნობდა ბურჟუაზიისადმი.

ამხ. ლენინი ცხოვრობდა ციურხში უღარიბეს უბანში, მეჩქემში ბინაში. ის თითქოს ყოველდღ ეძებდა ახალ მუშებს იმისათვის რომ განემარტა მისთვის იმპერიალისტური ომის მნიშვნელობა, პროლეტარიატის ბრძოლის აუცილებლობა ამ ომისა და საერთოდ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ლენინის მუშაობა არ იყო უნაყოფო. ამას გრძნობდა ბურჟუაზიაც და გერმანიის ბურჟუაზიის პროფესორებმა მრავალი წიგნი დაწერეს იმის შესახებ, რომ აღმოჩნდა ვილაც გიტი, რომელიც ავრცელებს ველურ აზრებსო.

რუსეთის რევოლუცია.

ამ დროს მოხდა რუსეთის თებერვლის რევოლუცია. 1917 წლ. მარტში ლენინი რუსეთში ჩამოვიდა. ჩამოსვლისთანავე ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი ძალაუფლების თავის ხელში აღების შესახებ. ის მხოლოდ მოხერხებულ დროს უყვლიდა. მისთვის უღაო იყო, რომ პროლეტარიატმა უნდა აიღოს ძალაუფლება. როდესაც მოხდა ივლისის აჯანყება, ლენინი ამბობდა: ჯერ კიდევ ადრეა—მენშევიკების და სოციალ-რევოლუციონერების მიერ მოტყუებული ჯარისკაცები ამოწყვეტენ პეტროგრადის მუშებსო.

მაგრამ 1917 წლის სექტემბრიდან კორნელოვის ამბების შემდეგ ლენინი უკვე აჩქარებდა მუშებს: მალე აიღეთ ძალაუფლება, თორემ მეერ გვიან იქნებაო.

ივლისის აჯანყების შემდეგ, ლენინი ისევ იმალებოდა ფინლიანდიაში. იქედან წერდა ის წერილებს, რომლებშიც ურჩევდა მენშე-

ვიკებს და სოც.-რევ. გავწყვიტათ ყოველგვარი კავშირი ბურჟუაზიასთან. მაგრამ მათ არ შეეძლოთ მიეღოთ ლენინის წინადადება. მაშინ ლენინმა მისწერა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წერილი, რომელშიც ამბობდა, რომ ეხლავე უნდა ავიღოთ ძალაუფლება. ცენტრ. კომიტეტი არ ეთანხმებოდა ლენინს. მის წევრებს ეგონათ, რომ ჯერ არ დამდგარა ამის დრო და გამოსვლა დამარცხდებოდა. მაშინ ლენინი თავის ნებით ჩავიდა პეტროგრადში და დაიწყო გამოსვლის მომზადება.

ეხლა აშკარაა, რომ ლენინი მართალი იყო. კომუნისტებს რომ დაეგვიანებიათ, ოკტომბრის რევოლუცია დამარცხდებოდა.

ოკტომბრის გადატრიალება.
ლენინს გათვალისწინებული ჭონა რა სიძნელე მოელოდა მუშათა კლასს, მაგრამ ის ვარაზობდა, რომ სხვა გზა არ იყო.

მუშათა კლასს, ლენინის ხელმძღვანელობით მაშინ რომ არ მოეხდინა გადატრიალება, რეაქციის გამარჯვება აუცილებელი იყო.

ლენინმა დააჩქარა გადატრიალება. ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა, რუსეთში დამყარდა საბჭოთა წესწყობილება.

მძიმე ხანა გადაიტანა ჩვენმა ხელისუფლებამ. მხოლოდ ლენინის გენიოსობამ, მისმა უძრევმა ენერჯიამ გამოიყვანა საბჭოთა ხელისუფლება იმ გაჭირვებიდან, რომელსაც ის განიცდიდა.

რუსეთის პროლეტარული რევოლუცია წარმოუდგენელია ლენინის გარეშე. ის იყო მისი სულისჩამდგმელი, წამქეზებელი, მისი ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი. ლენინმა იხსნა რევოლუცია დალუბვისაგან, მან გადაისროლა სოციალისტურ რევოლუციის ლოზუნგი მთელ მსოფლიოში.

ლენინის სახელი უყვადვია კაცობრიობის ისტორიაში.

არ დავიწყეთ ნაჩვენები გზა

1924 წლის 21 რიცხვმა გვამცნო საზარელი ამბავი—ჩვენი დიდი მასწავლებელი ანხ. ილიჩი აღარ გვყავს. ის ხელმძღვანელობდა არა მარტო რუსეთის და საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარულ რაზმს, არამედ იყო წინამძღოლი მთელი მსოფლიო პროლეტარიატის.

მე პირადად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ, როდესაც შეიტყობდა ჩვენს უბედურებას ევროპის ბურჟუაზია და მასთან ერთად ვითომდა სოციალისტური ემიგრაცია, მაშინათვე შეუდგებოდნენ სიხარულით ინტერვენციის სამზადისს, მაგრამ ტყუილად გონიათ იმ უბედურებს, რომ ანხ. ლენინის სიკვდილით ლენინიზმი მოკვდა. არა, ის სიცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს. ჩვენ მაშინ ვიქნებოდით შესაბარაღისნი, რომ ეს უბედურება დავტეხოდა თავს 30 წლის წინათ, როდესაც ჩვენ ვიყავით პოლიტიკურად ბავშვები, დღეს ჩვენთვის დიდად სამწუხაროა ლენინის სიკვდილი, მაგრამ ჩვენ ვართ სრულწლოვანი პოლიტიკურად, გვაქვს საკუთარი აზროვნება და ვიცით გზა, რომლითაც უნდა ვივლიდეთ.

კურათ, გვაქვს საკუთარი აზროვნება და ვიცით გზა, რომლითაც უნდა ვივლიდეთ.

და თუ ჩვენ გვინდა, რომ მუდმივად ანხ. ლენინი ჩვენთან იყოს, ჩვენ უნდა შევასრულოთ მის მიერ დატოვებული ანდერძი. ეს არის კომუნისტიზმის ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე. უფრო მაგრად ჩაეჭიდეთ ხელი წითელ დროშას და მას აფერიალებთ მთელს მსოფლიოზე. ეს იქნება საუკუნო სიყვარული და პატივისცემა ჩვენი დიდი მასწავლებლისადმი—ლენინისადმი.

მუშა სიმონა.



კომინტერნის ალმასკომის თავმჯდომარე

ალმასკომის თავმჯდომარე ანხ. ზინოვიევი გაუგზავნა კომინტერნის ყველა სექციებს შემდეგი დებულება: „21 იანვარს საღამოს 6 საათ. 50 წუთ. უეცრად გარდაიცვალა სასუნთქავის სიღამბლისაგან ანხ. ლენინი. დაკრძალვა მოხდება შაბათს 26 იანვარს.“

კომინტერნმა დაკარგა თავისი საუკეთესო ხელმძღვანელი და მასწავლებელი. საერთაშორისო პროლეტარიატმა მარქსის შემდეგ დაკარგა უდიდესი აღამიანი. მოიხადეთ ქედი მუშათა კლასის დიდ მასწავლებლის ახლად გათხრილ სამარის წინაშე.

საერთაშორისო პროლეტარიატმა იცის, ვინც დაკარგა ლენინის სახით, კომინტერნის ალმასკომი მოგაწოდებთ თქვენ მკიდროთ შეკრათ რიგები!

კომინტერნის ალმასკომის თავმჯდომარე
ზინოვიევი.



ცირკულარულად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ტვილიზის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს.

1. ს. კ. ზ. (ბ.) ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტთან მოეწყო ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ლოლობერიძე, რუბენი, ყურულაშვილი.

კომისიის ყველა დადგენილებები და განკარგულებები სავალდებულოა ყველა ორგანიზაციებისათვის, წარმოებებისათვის და დაწესებულებებისათვის.

2. წარმოებები და დაწესებულებები ნორმალურად მუშაობენ დემონსტრაციამდე, რაიკომების ყველა მუშაკებს წინადადება ეძლევათ იყონ თავიანთ ადგილებზე და მოაწყონ მუდმივი მორიგეობა რაიკომებში.

3. უნდა მოეწყოს გლეხების კრებები და ეცნობოს მათ ლენინის გარდაცვალება.

მოსენებერი შემდეგი ხასიათის უნდა იყოს:
1) კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება განავრცობენ ლენინის ხას და მთავარი საკითხი—მუშებისა და გლეხების საკითხი.

2) საჭიროა ყველა გლეხების შემოკრება კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო.

3) ჩვენ მომავალშიც ვიქნებით მტკიცე და შევასრულებთ ლენინის ყველა ანდერძს.

4. დემონსტრაციის ჩასატარებლად შედგენილია სპეციალური ქვეკომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ლოლობერიძე, 2. რუბენი, 3. აბაშიძე, 4. ხმალაძე, 5. სუტირინი, 6. ქელიძე, (საქ. პროფ. კავშირ. საბჭო). თავის მხრივ თვითუღმა რაიკომმა უნდა შეადგინოს თავისი კომისია 3 მხანაგის შემადგენლობით და რაიკომის მდივნების თავმჯდომარეობით.

5. სამგლოვიარო დროშა იქნება წითელი შავი არშით (კიდებები).

6. დემონსტრაციის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. დემონსტრაციის დღისთვის მიზიდულ იქნას, რაც შეიძლება მეტი გლეხები ახლო მეტარე სოფლებიდან.

ავკალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მუშები ჩამოყვანილი უნდა იქნან დემონსტრაციის დღისათვის.

7. ამ ცირკულარის მიღება დაუყოვნებლივ დაგვიდასტურეთ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, გლეხებს და ყველა მოქალაქეებს

ამხანაგებო და მოქალაქეო. დღემამ მოიტანა სამწუხარო ცნობა იმის შესახებ, რომ 21 იანვარს საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისიარო საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა ძალაუფლების სულის ჩამდგმელი და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ილიჩი (ულიანოვ) ლენინი.

არ არის ქვეყანაზე ისეთი კუთხე, სადაც არ იცნობენ ლენინის სახელს. მთელი ქვეყნის მშრომელთათვის ის იყო გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, სათითაოდ მიქცეული იყო ყველა მშრომელთა თვალები და ისინი მიდიოდნენ უშიშრად, რომ დაეპყროთ შრომის სამეფო.

მაგრამ საშინელმა ბედისწერამ გამოგვიღია ის ფიზიკურად ჩვენი როგებიდან, მაგრამ მის მიერ ნაანდერძები იღვა ცოცხალია ჩვენი შორის და არ მოიძებნება არც ერთი მუშა და გლეხი, რომელიც არ ჩაებმება ბრძოლაში მისი ანდერძის განსახორციელებლად.

არ გვყავს ლენინი, მაგრამ დაგვრჩა ჩვენ მისი ანდერძი, რომელიც მოგვიწოდებს უფრო ერთსულოვნად, ვიდრე ოდესმე შევკავშირდეთ, გადავიტეოთ ერთ ფოლადის ერთეულად და ფიცი დაველოდოთ მისი ძვირფასი ცხედრის წინაშე. რომ ენერგიულად და ერთსულოვნად გავატარებთ ცხოვრებაში ჩვენი უდიდესი მასწავლებლის ყველა პრინციპებს.

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველა მშრომელთა მტკიცედ გადაიტანონ ბედის წყრისაგან თავზე მოხვეული ეს მძიმე ხვედრი და შეურყეველი ნებისყოფით, როგორც ყოველთვის, დიდი ბელადის და მასწავლებლის მიერ დაწყებული ბრძოლა შრომისა კაპიტალთან, გამარჯვებით დაავიგოვებით და უჩვენით მთელ მსოფლიოს საბჭოების ძალაუფლების სიმტკიცე და შეურყეველობა.

კატარა ფელეტონი

ვ ი ნ ა რ ი ს ?

I.

„გძელი ჩოხა მოკლედ იცმის შაირია ახალუბი“.

გამოქეტა წიჯელ მოსკოვს, მიაშურა უკრაინას. (ამ ჟამად კი ჩეკაში ზის... ალბად მღერის „У Каминა“-ს) კომუნისმის ქებათ-ქება ჯერ დაბეჭდა ფელეტონად, და მერე კი შეაგროვა და გამოსცა წიგნი ტომად. შავ კბილებსა (უფრო შავ გულს) ვერ ათეთრებს ვერცა კვირ. ერთ კვირაში შეიდი დღეა-და აქეს შეიდი პარასკევი. რა კოვზია, რომელმაც რომ არა იცის ქოთნის ფსკერი. თუ არ იცი — და აკეთებ: საქმისა ხარ მაშინ მტერი. როცა კაცი მარტო ზიხარ ოპხ კედელში და სარდაფში, მივრისკობი თან არა გაქვს, იტყვირები ვიწრო ძაბრში — მაშინ, თურმე, პრობლემები იტყვირებიან თავისთავად და სჩანს კარგად, რასაც უწინ უტყვეროდი ცუდად, ავად. კაცს პირი აქვს, პირში ენა, ენა მოქმელი ყველაფერის ეს ენა კი უძვალა — ხან გაგინებს, ხან გიმღერის. ხანჯალს უთხრა სოლომონმა (დღიდი ჰქონდა თავში-ქუჯა): — შენ პირი გაქვს ორთავ მხარეს, სად გეკენება, აბა, ყუა. იქით გორა, აქეთ გორა, შტაში მთაა ნისლიანი. მტერს მიგობრად გადაგიქცევს ენა ტკბილი და წყლიანი. ორი ქოთანნი ვიყიდე ყურიანი და უყურო: აღარ მინდა „პერეყაროტს“ კვლავ ველოდო და უყურო. გძელი ჩოხა მოკლედ იცმის, შაირია ახალუბი, სათქმელს ვიტყვი გაბედულად — შორს სიტყვების რახა-რუბი.

2.

„მიდის, ბორძიკობს უხვიროდ ჩემი ჯახბოიკა და მეშინია არ გამოჩდეს თავში აფროკა“.

რ ო მ ა ნ ს ი.

მე ვზივარ მარტო, უტყვირ ბუხარს, რომელშიც ცეცხლი არა მინთია. და ვხრავ თავვეივით გამომცხვარ სუხარს ასეთი ყოფნა, ო, რა ფინთია. მიწყვიტა ძველი „ჩენი ერთობა“ და ერთი შეკრა პრაკლამანცია. გული დაჭრილი ამით ერთობა, ეს იყო, რამაც ჩვენ დაგვაქცია.

გარედ არ გგვაყვად არც ერთი წიგნი. ყველამ დაგეტოვა და დადგენ ვანზე. მეტეხში იჯდენ „ჩვენები“ ბევრი, ეხლა ისინიც მღეროიან ვანზე. პარტიის წიგნი მე დავრჩი მარტო, ვირჩევ თავს ცეკად და თავჯდომარედ. თავისი თავი როგორ გავართო, ერთი ხუტეცი მაინც მომგვარეთ.

მენგო.

მოუწოდებთ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელთა და მოქალაქეებს უფრო მტკიცედ შემოკრებენ საბჭოთა ხელისუფლების გარშემო და ამით დაუშუქოცნოთ მთელს მსოფლიოს ჩენი შეურყეველი ერთობა და ძლევამოსილება, რაც იმავე დროს იქნება ილიჩის ანდრძის განხორციელების საუკეთესო საწინდარი.

- სრ. საქართველოს ცაკის თავმჯდომარე
- მ. ცხაკია.
- სრ. საქართველოს ცაკის მდივანი
- პ. საბაშვილი.

გიტინგი გასაჩინო სიხაუმი*)

15 იანვარს მეტეხის პოლიტიკურ პარტიებში განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიდნენ. ისინი ყოველ წამს მოვილოდნენ ვანთავისუფლების.

ყველას სახე უღიმოდა, ყველა არაჩვეულებრივ განწყობილებას იყო. მეტეხის გარეთ-კარებთან უარებელ ხალხს (ტუსალთა ნაცნობ-ნათესავებს) მოეყარა თავი. დღის 2 საათზე მოვიდა აზხ. ფარნიევი, ვარდლიანი, თოფაძე და სხ. გიტინგი გაისხნა აზხ. პორფ. ეფრემიძის თავმჯდომარეობით. პირველი სიტყვა სთქვა აზხ. ფარნიევმა.

ალ. ფარნიევის სიტყვა.

ამხანაგებო! თქვენ გუშინწინ ერთხმად დავმეთ ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებდა არალეგალური ცეკა, თქვენ ერთხმად აღიარეთ „დემოკრატიზმით-პარლამენტარიზმით“ სოციალიზმისკენ სვლის ტაქტიკის უფარვისობა — მიზანშეუწონლობა და მის მაგიერ პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა სისტემა, თქვენ ერთხმად დაადგინეთ კავშირის გაწყვეტა მეორე ინტერნაციონალთან და ჩადგომა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის რევოლუციონურ რაგებში და მასთან სრული და სანუდამოთ ვაერთიანება. არც საბჭოთა მთავრობას, არც კომპარტიის ცეკას თქვენს რევოლუციონურ გულწრფელობაში ოდნავათაც არ ეპარება ეგვი და ამიტომ დაადგინა: თქვენ ყველანი დაუბრუნდეთ სახელმწიფო აღმშენებლობას, არავითარ უნდობლობას თქვენდამი არა აქვს და არც ექნება ადგილი, თუ თქვენ იქნებით ყოველთვის გულწრფელი თანამშრომელი მუშათა და გლეხთა საბჭოთა რესპუბლიკების. და თუ ვინმე თქვენგანი კვლავ დაბრუნდება და დაიწყებს მუშაობას არსებულ სახელმწიფო სისტემის — მართვა-გამგეობის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული ზომები. დადგენილია აგრეთვე ვანთავისუფლდენ ის სოციალისტ-ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატებიც, რომლებიც თავიანთი დადგენილებებით უერთდებიან აღნიშნულ პარტიების სალიკვიდაციო ყრილობის დადგენილებებს და ხელს იღებენ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ასე რომ ის ექვები, რომელთაც გამოითქვა გუშინწინ კრებაზე, ვაი თუ საბჭოთა მთავრობამ ან კომპარტიამ უნდობლათ დაგვიწყოს ცეკრა, არ არის მართალი,

*) 13 იანვრის კრების ანგარიში ცალკე იქნება მოთავსებული.

და რომ ეს ასეა, ეს მტკიცდება იმიო, რომ არც ერთი თქვენთაგანი არ რჩება გამასწორებელ სახლში, ამიერიდან კი თქვენი ბედი დამოკიდებულია თითოეული თქვენთაგანის გულწრფელობა და საქმისადმი სიყვარულზე და რევილიუციონურ ერთგულება-ენერჯიაზე.

- გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის და ჩვენს ურთიერთობაში გულწრფელობა — ნდობას.
- გაუმარჯოს პროლეტარიატის ვაერთიანებულ ფრონტს-ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.
- გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

კ. თოფაძის სიტყვა.

ამხანაგებო, აქ გამასწორებელ სახლის ეხოში, მინდა ვითხრაო, რომ არალეგალური ცეკა, რომელთანაც დღეიდან თქვენ სწყვეტთ კავშირს, არავის ამისთვის მადლობას არ გეტყვის. ის ისევე, როგორც ილარიონ გიორგაძეს და ქაიხოსროშვილს გაუგმირეს გული, ალბათ ზოგიერთ თქვენთაგანსაც მოუღიღამებენ მოკვლას, და ამიტომ ყველა თქვენთაგან-

მა დაიმხსოვრეთ და არ გაგიტყვილონ ბნელ ღამეში არც ქუჩაში, არც მით უმეტეს განაპირა ადგილებში, როგორც გიორგაძე და ქაიხოსროშვილი. არავის დააშინებენ რა თქმა უნდა, ცეკის ტერორისტები ამა თუ იმ ამხანაგის მოკვლით, ვინაიდან საერთო საცაკობ-რიო საქმისთვის ყველა ჩვენთაგანმა დიდი ხანია შეგსწირეთ ჩენი არსება-სიცოცხლე. იცოდენ ცეკისტებმა ეს. გონს მოვიდნენ, და ხელი აიღონ გამოფხიზლებულ მუშების და გლეხების ხოცვაზე. ისიც იცოდენ, რომ დაშინებით არავის ვახდინ პარტიის მონათ. იცოდენ აგრეთვე, რომ ის მუშები და გლეხები, რომლებმაც ათეული წლები ებრძოლეთ მშრომელი ხალხის საბოლოოთ გამარჯვებისათვის, ვერ დავრჩები იმ პარტიაში, რომელმაც ბანდიტებთან შეკრა კავშირი და ხოცავს იმ მუშებს და გლეხებს, რომლებიც მომხრე არიან სოციალიზმის და წინააღმდეგი ფაშისმის.

- გაუმარჯოს ხოციალიზმს!
- გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკებს.
- გაუმარჯოს კომინტერნს.

დავით მუჯირის ხიბუცა (ახალგ. მარქსისტი)

ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ საბჭოთა მთავრობის დადგენილება ჩვენი განთავისუფლების შესახებ. ჩვენ, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ვიბრძოდით მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის დასამზობათ, დღეს ამავე მუშათა და გლეხთა მთავრობა ციხის კარებს ფართეთ გვიღებს და გვეუბნება, გვწამს თქვენი გულწრფელობა. რომ ამიერიდან თქვენს გამოცდილებას ცოდნა უნერგოთ და დაიშურებთ-არ დაზოგავთ და მოახმარებთ მშრომელი ხალხის გამარჯვების საქმესო. ყველამ ჩვენთაგანმა სამუდამოთ უნდა დავიმასოვროთ ეს და მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის წინაშე ფიცი დავსდომო, რომ ჩვენ ამიერიდან სრული შეგნებით და მთელი ენერგიით ვიბრძობლებთ მუშათა კლასის და გლეხ-კაცობის საბოლოო განარჯვებისთვის, მთელ მსოფლიოში საბჭოთა წესწყობილების დასამყარებლათ. მას შემდეგ, რაც ჩვენ მუშათა და გლეხთა მთავრობა სრული გულწრფელი ნდობით მოგვეპყრა, ჩვენ, მით უმეტეს, ჩვენც სრული გულწრფელი ფიცი უნდა დავდეთ, რომ დღეის შემდეგ არც ერთი ჩვენთაგანი არ გაბუნდვას დარღვევას ჩვენ გუწინწინდელი კოების დადგენილებისა, რომელიც ჩვენ დიდი ხნის ეინიანობის, თავმოყვარეობის და კლდევა-ძიების შემდეგ გამოვიტანეთ, ერთხნათ. დღე, ოცოდეს ეს ყველამ. ამ იმედით ვტოვებთ დღეს ჩვენ მეტეხის ციხეს, რომლის რკინის კარები ფართეთ გაიღო და გვისტუმროს იქ, ვართ მშრომელი ხალხის რიგებში ჩასადგომათ და საბჭოთა აღმშენებლობის ფრონტზე—სადარჯოზე

- გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას.**
- გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკებს მსოფლიოში.**
- გაუმარჯოს კომუნისტს.**
- გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.**

პორფირე ეფრემიძის სიტყვა.

ამხანაგებო! თუმცა ჩვენ გუშინ წინ ერთხნათ დავადგინეთ, რომ ამიერიდან ვეწყვეტთ ყოველგვარ კავშირს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, მეორე ინტერნაციონალთან და ვდგებით მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის რევოლუციონურ დროშის ქვეშ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი ჩვენთაგანი გამოსთქვამდა, „რა საბუთით უნდა დაგვიჯეროს საბჭოთა მთავრობამ, რომ ჩვენ არ ვატყუებთ? განა ცოტამ განაცხადეს, და მეორე დღეს ისევ დაიწყეს არაღგაღურათ მუშაობა? ჩვენთანაც ხომ არიან დღეს ასეთები?“. ჩვენ ბავშვები აღარა ვართ, თუ ნჭამდის ეინიანობა-თავმოყვარეობას ვერ დავახწიეთ თავი, და ვაკეთებდით მშრომელი ხალხის მტრების სასარგებლო საქმეს, ახლა დროა, თუნცა დაგვიანებით, გონს მოვიდეს ყველანი და დაუბრუნდეთ მშრომელ ხალხის ვერას. აქეთკენ მოგვიწოდებს მშრომელი ხალხის ინტერესები, აქეთკენ ვეინძახის მუშურ-გლეხური მთავრობა. მას ოდნავათაც არ ეპარება ეჭვი ჩვენ გულწრფელობაში, ის ჩვენ გვენდობა და ჩვენც უნდა ვავაძირთლოთ ჩვენ-დაბი უსაზღვრო ნდობა. ამ იმედით უნდა დავტოვოთ მეტეხის ციხე, სადაც არც ერთი ჩვენ-

განი არ უნდა დაბრუნდეს არასოდეს, სანამ არსებობს და იარსებებს საბჭოთა რესპუბლიკები. მუშა-გლეხურმა მთავრობამ არამთუ არ გაამართლა ჩვენი ამხანაგების ეჭვები უნდა-ბლობის შესახებ. პირიქით, ავერ ჩვენ წინ დგას მუხიკა ციხეში, ციხის კარები ფართოთაა გაღებული, ციხეში მიტინგია გამართული, ჩვენ უსაზღვროთ გეინარია მთავრობის ჩვენდამი ნდობა, ჩვენ ვხეიძობთ, ვდღესასწაულობთ ჩვენს გამოცდილებას, ეინიანობა-თავმოყვარეობიდან თავის დახწევას და კვლავ მუშათა კლასის რევოლუციონურ რიგებში დაბრუნება-გაერთიანებას. უუსურვოთ აქედან მეტეხიდან იმ ამხანაგებსაც, რომლებიც ჯერ არ მოვიდენ გონს, რომ დაახწიონ თავი ეინიანობა-თავმოყვარეობას, აიღონ ხელი მშრომელი ხალხის მართვა გამეგობის-საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე და, პირიქით, დაადგენ იმ გზას, რომელზედაც დაადგა გასულ წელს აგვისტოში ჩვენი ამხანაგები და დღეიდან კი ჩვენც.

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის გაერთიანებულ ფრონტს იმპერიალიზმის, კაპიტალიზმის, ფაშიზმის დასამზობათ და მსოფლიოში მშრომელთა-საბჭოთა რესპუბლიკების დასამყარებლათ.

გაუმარჯოს სოციალიზმს.
გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ვ. ტალახაძის სიტყვა.

ამხანაგებო! მე შემთხვევით ვესწრები თქვენს მიტინგს. გამოვთქვამ უსაზღვრო სიხარულს, რომ თქვენ ამიერიდან ჩვენთან იქნებით ჭირში და ლხინში, და გაერთიანებულნი გამოცდილება-ენერგიით დავიცავთ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ ყოველ გვარ მტრების და მოწინააღმდეგეებისაგან. ამხანაგებო, იმ დროს, როდესაც ანტიკომუნისტური პარტიებიდან ვარბიან ათასობები და ათი ათასობით ძველი-გამოცდილი რევოლუციონერები, მუშები და გლეხები და მათ წრიდან გამოსული ინტელიგენცია და მოდიან ჩვენთან—კომუნისტურ პარტიასთან, ჩვენი სიხარული უსაზღვროა. ეს მოვლენა თავდებია იმისი, რომ პროლეტარიატის და გლეხკაცობის ერთ მკიდრო რაზმში დარაზნება მოასწავებს მის სიძლიერეს საერთაშორისო რეაქციის-ფაშიზმის დამზობის და დამყარების მშრომელთა ხელისუფლებისა. დარწმუნებული ვარ თქვენ შეიგენით ეს და ამიერიდან აღარ ექნება აღგილი ჩვენ შორის უნდაბლობა-ეჭვიანობას. დარწმუნებული ვარ იმაშიაც, რომ თქვენ, გაქალაჩებული რევოლუციონერები ამიერიდან უკანა რიგებში აღარ დადგებით და არ დაზოგავთ ცოდნა-გამოცდილებას-ენერგიას და სიცოცხლესაც პროლეტარიატის საბოლოო მიზნის-სოციალიზმის განხორციელებისთვის ბრძოლაში.

მიტინგი დაიშალა ნაშუადღევს სამ საათზე და განთავისუფლებულები ჯგუფ-ჯგუფათ გამოდიან ქუჩაში. მეტეხის წინ ქუჩები ვაგესებულა ხალხით, რომლებიც ეგებებიან, ეხვევიან და კოცნიან განთავისუფლებულებს, ბევრმა დაღვარა სიხარულის ცხელი ცრემლები ნათესავ-მეგობრების ნახვა-შეხვედრის წამებში.

13 და 15 იანვარი საქართველოს მუშების და გლეხების რევოლუციონურ მოძრაობაში გარდატეხის მეოთხე ისტორიული დღეთ აღინიშნება. ამ დღეებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დარჩენილების წევრებმაც ვაწყვიტა ძაფები კავშირი პარტიასთან, ეინაიდან მასში აღარ დარჩა მუშები და გლეხები, და დადგა კომუნისტური ინტერნაციონალის რევოლუციონურ დროშის ქვეშ. ახლა გვაქვს ჩვენ ოთხი ისტორიული გარდატეხის დღე: პირველი, 25-30 აგვისტო, როდესაც 12 ათასმა პარტიის წევრმა თავის ყრილობაზე პარტია გააუქმა და შეუერთდა კომპარტიას. მეორე, 28 ოქტომბერი, როდესაც საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის 5 ათასმა წევრმა თავის ყრილობაზე გააუქმა ორგანიზაცია და შეუერთდა ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს. მესამე, 3 იანვარი, როდესაც 10 ათასზე მეტმა თბილისის მუშებმა მოწიყებით დასაფლავეს ახ. ილარიონ გიორგაძე, რომელიც ვერაგულით მოკლეს არაღგაღურ ცეკას ტერორისტებმა. და მეოთხე, 13-15 იანვარი, როდესაც 234 პარტიის წევრმა მეტეხის გამასწორებელ სახლში საერთო კრებაზე ერთხნათ დაგმო ცეკას მოქმედება-მოღვაწეობა და ვაწყვიტა მასთან კავშირი. ტრამაველი.



რეს ნარგოვადკენს ს. დ. ს. დ. გ. პ. (სხიველავი)

ეს პარტია კი არა—ჯგუფია რამოდენიმე რუსთაველის პროსაქტებზე მოხეტიალე ინტელიგენტისა. ამ ჯგუფს თავისი წარსული აქვს, ის წარმოიშვა პორტუგელების და ოთახების განაწილების სფეროში. აქ შეიქმნა უთანხმოება, რომელმაც მიიღო სერიოზული სახე.

ამ ჯგუფმა მოიყარა თავი 1921 წელში, დაარსა „სამონზეანცური“ ცეკა, მენშევიკების დროს ამ ჯგუფს ცოტათი თანაუგრძობდნენ ზოგიერთი მუშები, მაგრამ მის შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლება გამეფდა საქართველოში, ეს ჯგუფი შედის 21/2 ინტერნაციონალიზმში. პირველ ხანებში ლოიალურად არის განწყობილი მუშათა ხელისუფლებასთან, მეგრე მე-3 ინტერნაციონალის კონფერენციის შემდეგ ბერლინში ის უერთდება მე-2-ე ინტერნაციონალს, აქ კი ეს პარტია გადადის არაღგაღურ ბრძოლაზე და უერთდება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკებს, აწერს ხელს პარტიტულ კომიტეტის პირობაზე და დგება კონტრ-რევოლუციის ბანდების რიგებში. ამის შემდეგ მას შორდება ის მუშებიც, რომლებიც წინეთ სიმპატიით უყურებდნენ და სწყვეტს მათთან ყოველგვარ კავშირს. 30 აგვისტოდან ეს ჯგუფი, როგორც ერთი ნამტერევი მენშევიკური პარტიისა, როგორც სპანის მუშები, ისე გაქრადარჩა იქ მხოლოდ თითო კოროლა ინტელიგენტი, რომლებმაც ამ ორი თვის წინეთ კიდევ გაბედეს და თავი მოიყარეს არაღგაღურად. ილაყბეს, ლანდლეს და აგინეს საბჭოთა ხელისუფლება, მონათლეს ის ფაშისტებად და დაადგინეს, რომ სამკდრო-სასიცოცხ-

კ ა მ ე ნ ა ტ

წვირილი მე-3-მე.

ა.—ცოტა ვანზე.

ხლოდ ებრძოლონ მათ მენშევიკებთან და ყველა კონტრ-რევოლუციონერებთან ერთად. ეს მოხეტიალე ინტელიგენტები დღესაც თავისუფლად ხეტიალობენ რუსთაველის პროსპექტზე და თავიანთ შხაშხა და ვესლს ანთხევენ ხელისუფლების წინააღმდეგ.

თოფადი.



რა უნდა ვაკეთოთ?

ბევრი ამხანაგები დღესაც ვერ გამოჩვენებულან თუ ყრილობის შემდეგ რა უნდა აკეთონ, როგორი უნდა იყოს მათი საქმიანობა. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ძალიან აინტერესებს ყველას და ამიტომ საქმიანობა ამხანაგებმა მოიგონონ ის დეკლარაციები, რომელიც მიიღეს კონფერენციებმა და სრულიად საქართველოს ყრილობამ. კონფერენციების და ყრილობის დეკლარაციებში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ უნდა დავდგეთ მე-III კომუნისტურ ინტერნაციონალის პლატფორმაზე, რომ ჩვენ განსაკუთრებულ ორგანიზაციებს და პარტიას არა ვქმნივთ, ვინაიდან ეს შეიტანს ისე გაუგებრობას და განმეორდება ის, რაც მოხდა 1903-4 წლებში. ჩვენ ერთი დავრწმუნდით, რომ ის პოლიტიკა და ხაზი, რომელსაც ატარებს დღეს კომუნისტური პარტია, ეს არის ნამდვილი მუშათა კლასის ინტერესების განმობატველი პოლიტიკა და ამიტომ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, რომელიც ჩამოშორდა მენშევიკურ პარტიას, უნდა შეუსისხლობოდეს კომუნისტურ პარტიას და მასთან ერთად და მის რიგებში გააძლიეროს მუშაობა. არც ერთი ყოფილი მენშევიკი არ უნდა გრძობდეს თავის თავს უცხოთ კომუნისტურ პარტიაში მყოფ ამხანაგების რიგებში.

აგრეთვე მე ვფიქრობ, რომ ამხანაგი კომუნისტები უყურებენ ჩვენს ამხანაგებს სრულის ნდობით, ჩვენ ვიცით, რომ ძალიან ბევრი ჩვენი ამხანაგები არიან წამოყენებული საპარლამენტო ადგილებზე, როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლათ. მხოლოდ საქიროა, რომ ამხანაგები ერთგულად შეუდგენ საქმეს და ამით გაუადვილონ საბჭოთა ხელისუფლებას იმ მიზნების განხორციელება, რომელიც მას დაუსახავს.

მუშათა კლასის მტრები ყოველ მხრივ ცდილობენ, რომ ერთსულოვნება ყოფილ მენშევიკებსა და კომუნისტებს შორის არ იქნეს განმტკიცებული და ყოველ მხრივ ცდილობენ ამას ხელი შეუშალონ, მაგრამ ჩვენ საქმიან უნდა დაუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ჩვენ კომუნისტებთან გასაყოფი არაფერი არა გვაქვს, რომ ჩვენი მიზანი ერთია, რომ გამოფხიზლებულ მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ვერაიან გადაავადებს იმ გზიდან, რომელზედაც ის შესდგა.

მაშ ასე ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულმა გაგსწიოთ წინ საბოლოო მიზნის—სოციალისმის განსახორციელებლათ.

გ. ხიხ—ძე.



სოციალისტიკ იყო და სახელმწიფოსაც ხერიანად მიუძღოდე, ვერ იხამ, ვარივე ხელს ვერ მოიმარჯვებთ, ან კარგი მეთაური იქნები სახელმწიფოსი და აღარ ივარგებ სოციალისტათ, ან წმინდა წყლის სოციალისტი დარჩები და სახელმწიფო წაგვივა ხელიდან. შეიძლება გექნეს კიდევ ერთი „ვაშისავალი“:—ვერც სახელმწიფოს მეთაურთა გამოდგე და ველარც სოციალისტურ პარტიათ. ისე შეწყობ, შეთავსება კი, რომ ორივე საქმე კარგათ გიხერხდებოდეს, შეუძლებელია.

ფიქრათ ისე გვაქვს ხოლმე, რომ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ერთ-ერთი საშუალებაა, ამითი გზას იკაფე საბოლოო მიზნებისაკენ; სოციალისმისაკენ. სწორეთ ამ ფიქრს არ ამართლებს სინამდვილე, რაც საშუალება უნდა იყოს, ის თვით მიზნათ იქცევა. სოციალისმისთვის ბრძოლა შესაძლებელი ხდება იმდენათ, რამდენათც სახელმწიფოს არა დაუშავდება რა ამ ბრძოლით. ეს ჩვენ დავიხახეთ, კერძოთ, საქართველოს მაგალითზე. მუშები გვითვლიდენ ხოლმე ყოველთვის წერილებით, დეკემებით,—აუტანელ პირობებში ვართ, ვერ გავძლებთ ასეო. ჩვენ ვამშვიდებდით, ვათმინებდით, ვგაგებინებდით, რომ სახელმწიფოებრივი მეთურნეობა ვერ აიტანს ზედმეტ მოთხოვნებს. სოციალისტური პარტიის მიზანია, მუშას ნახევარი გირვანქა პური არ გაუზდეს საძებნათ, მუშათა კლასი არ დაიმშეს, არ დასწეულდეს, არ დალაზდეს, არ დაჰკარგოს უნარი და ხალისი სოციალისმისთვის ბრძოლაში. ამ მიზანს ვეღარ ემსახურება პარტია, როცა ის სახელმწიფოს სათავეში დგას. ველარც საერთაშორისო მუშათა კლასის პოლიტიკას აწარმოებს ის მაშინ. სხვა ქვეყნების მუშებს ვეღარ ამოუდგებთან გვერდში თანამოაზრეთ და თანამებრძოლათ ისე, რომ არ „აწყენინო“ ამა თუ იმ მთავრობას, ვერ „აწყენინებ“, როცა შენ თითონ მთავრობა ხარ და „კეთილმეზობლური განწყობილება გჭირდება.

მე ვიტყვი, რომ ჩვენ პარტიას მაშინვე დაეწყო კრიზისის ჩანასახი. იმ სამ წელიწადში დაზიანდა ჩვენი პარტია, როცა ის სახელმწიფოს სათავეში იდგა. ყველა ვგრძობდით, რომ რაღაცა გვაკლდა. გაჩნდა ოპოზიცია (ნახალის სხივი*) იმას უწოდდა ფართო სოციალისტური და დემოკრატიული მიზნები არ გათქვეფილიყვენ სახელმწიფოებრივ ინტერესებში. მაგრამ ოპოზიციამ ვერ გამოიხაზა უკეთესი გზა. შეუძლებელი არ შეეძლო. ის მოითხოვდა, რომ მთავრობა იქნა და ჭენტრალურ კომიტეტში არ ყოფილიყვენ ერთად ორივე პირები. მაონია, მეორე ინტერნაციონალმა ჰამბურგის კონგრესზე მიიღო აშნაირი აზრი სოციალისტური პარტიებისათვის სავალდებულოთ. მაგრამ ეს იაას გავს, რომ თავი გტკიოდეს და ფეხზე წამალს იდებდე. სულ ერთია, დარჩება თუ არა ცენტრალურ კომიტეტში ის, ვინც მთავრობაში შედის, სულაც რომ გამოვიდეს პარტიიდან, პარტია მხარს უნდა უჭერ-

დეს იმას და პასუხისმგებელი უნდა იყოს ხალხის წინაშე მთლიანათ.

შემე საკითხია სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება და იმავე დროს დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკა. ეს სიმძიმე იდგა ამ ექვსი წლის განმავლობაში და ახლაც დგას რუსეთის კომუნისტური პარტიის წინაშე. ერთხელ ლენინი ამბობდა, კლასთა ბრძოლა ახლა, სხვათაშორის, ისე უნდა გვეხმოდეს, რომ ვებრძოლოთ თითონ მუშათა კლასის ზოგიერთ წრებს, როცა ისინი თავიანთ მოთხოვნებში ანგარიშს არ უწყვენ სახელმწიფოებრივ ინტერესებსო.

არ შეიძლება სხეანაირათ. რუსეთშიაც საერთოთ საბჭოთა რუსულბლოკებშიც, პროფესიონალურმა კავშირებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ მუშათა მობრძობას იმ მხრივ, რომ არც შრომის პირობების და, რასაკვირველია, არც პოლიტიკური თავისუფლების საკითხებში ადგილი არსად არ ექნეს ზედმეტ მოთხოვნებს.

ავად თუ კარგათ რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ მაინც გაუძლო ამ საკითხის სიმძიმეს. ძალაუფლება შეიკრიბა, და ახლა ფართო დიდიობის ხაზის გავლებას მუშათა დემოკრატიასთან დასახსოვებლათ. მისი ცდა უფრო ნაყოფიერი იქნება ამ ხაზის გავლებაში, თუ იცნეს რუსეთი ევროპის სახელმწიფოებმა და შიში აღარ ექნა გარედან ჩარევის. ავრე კერზონს უსარგებლებია, ახლა მისკაცეში რომ გაცხარებული შინაპარტიული კამათია, და ავგანისტანიდან მიდგომა რუსეთს დიპლომატიური დამუქრებით... ამისთანა ჩარევების შედეგი ის იქნება მხოლოდ, რომ თუ მმართველ პარტიას ერთი ნაბიჯი აქვს გადადგმული წინ მუშათა დემოკრატიისაკენ, ორ ნაბიჯს გადადგამს ისევე უკან.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია ჩაიჭრა ამ საკითხის გადაჭრაში და უფრო ჩაიჭრებოდა, რომ სავსებით აელოთ ხელში ძალაუფლება. უთუოდ იძულებული ვახდებოდა დაევიწყებია დემოკრატიზმი და წასულიყო რუსეთის კომუნისტური პარტიის გზით. ესეც არ ყუფოვდა, რომ სულ ჩამოეშორებია პოლიტიკური ასპარეზიდან გაცილებით უფრო მძლავრი ბურჟუაზია თავისი ქვეყნის.

ინგლისში, ამბობენ, მუშათა პარტია გამეფდება საცაო. ვაზეთებს თუ დაუჯერებთ, მაკლონალი უარს არ იტყვის მთავრობის შედგენაზე. ეს რომ მოხდეს, ამას ექნება ჯერჯერობით ერთი აზრი. მაკლონალი წამოაყენებს შესანიშნავ პრაქტიკებს, გეგმებს. კონსერვატორები და ლიბერალები არ გააშვიებენ არც ერთს. მაკლონალი ამითი დაანახებს ხალხს, რომ უკეთესია, თუ მუშათა პარტიას მეტი უმრავლესობა ეყოლება პარლამენტში ხალხი, ალბად. მომავალ არჩევნებზე იტყვის თავის სიტყვას, და შეიძლება მაკლონალს აღარაიენ ეყოლოს ხელის შემშლელი. გაატარებს კენჭის ყრით მიფელ თავის პროგრამას. თუ ინგლისის ბურჟუაზია ისეთი თავინიერი გამოჩნდა, კენჭის ყრას დაჯერდა, ყველაფერში დაეთანხმა, ხომ კარგი. თუ წინააღმდეგობა გაუწია, არ დაემორჩილა პარლამენტ-

ტის დადგენილებებს? რას იზამს მაშინ მაკონონალი? მაშინ ის ან ჩამოვარდება, ან რუსეთის კომუნისტებისაგან ისესხებს ბრძოლის საშუალებებს, და მტრ ბარგად შერჩება ხელში დემოკრატიული პარლამენტის.

ვისაც ძალაუფლება უკავია ხელში და სულ აქვთ იქით უნდა იზღვრიებოდეს, არავინ შემომგზავროს საიდანმეო, ის ხალხის თვითმოქმედებას ვერ დაეყრდნობა ვერაფერში; ვერ იყოს დემოკრატიზმის გზით. ასე მოუვა, ვინც უნდა იყოს, მაკონონალი იქნება, თუ ლენინი, ბოლშევიკი თუ მენშევიკი. ლენინი 1908 წელს ი სწერდა, რეაქციონერობა და ანარქისტობა ის ფაქტი, რომ სოციალიზმი შეიძლება უდემოკრატიოთ. 1921 წელს კი, მგონია, კომუნტერნის ყრილობაზე თქვა, — мы не обещали никаких свобод и никакой демократии. ასე იტყვის მერე მაკონონალიც, ბურჟუაზია რომ გადაელობება წინ და მუშათა წრეებშიაც ეყოლება მოწინააღმდეგე. მე ის მივიჩნის, რომ მაკონონალი უარს არ ამბობს მთავრობის შედგენაზე, თორემ ის აღარ გამოვიკორდნება, რომ ძალაუფლების შესარჩენათ ლენინის გზას გაჰყვას.

8. უფრო შესაძლებელი და უფრო მისაღები.

განზე გადახვევით სიტყვა არ გამოიგრძელდეს. ვუბრუნდები საქართველოს. ამისთანა პატარა ქვეყნისთვის კიდევ უფრო ძნელია იმ მძიმე საკითხის გადაჭრა, რომელზედაც ზემოთ ვამბობდი.

ძალაუფლება რომ დავიბრუნოთ, უარეს პირობებში მოვეუქცევით, ვიდრე მაშინ ვიყავით, იმ სამ წელწადს. ყველაზე უფრო გაგვიკირდება ჩვენ დემოკრატიული გზით სიარული. ჯერ მაშინაც გვეწვდებოდა ფეხი, როცა რუსეთს არ ეცალა ჩვენთვის და არ მოველოდით იქიდან საფრთხეს. გვექონდა სიტყვა-ბეჭედის თავისუფლება, მაგრამ უფრო ნაკლები, ვიდრე ბურჟუაზიულ ქვეყნებში. რა იქნება, აწი რომ გადმოვიდეს ისევ ძალაუფლება ჩვენ ხელში? წინ და წინვე უნდა ვთქვათ, — Мы не обещаем никаких свобод и никакой демократии. ჩვენც იმას ვცაზათ, რასაც ახლა ბოლშევიკები. ისინი ცდილობენ ჩვენს სხენებას არ იყოს არსად, ჩვენც შევეცდებით: ალბათ, რომ მათი ჭკანებაც აღარ ისმოდეს საქართველოში. ბერძნისაგან მივიღებთ, იქნება, განცხადებებს, — შიშით ვიყავით ბალშევიკებო. ჩვენ მაინც უჭვი გვექნება ყოფილი მენშევიკების, ეჭვი გვექნება უპარტიოების, ეჭვი გვექნება ყველასი, ვინც მენშევიკი არ არის. სადღა გავახსენდება მაშინ სიტყვა-ბეჭედის თავისუფლება? მერე ყოველთვის შიში გვექნება ისევ რუსეთიდან, — დროს გვიშოვნის როდისმეო, — არ გამოგველევა გულის ტრიალი. დამხმარე ძალა არ მოგვივა არსაიდან, და რომ მოგვივდეს, ვაი თუ მივიმხროთ, როგორიც უნდა იქნეს. ერთი სიტყვით ჩავვარდებით ისეთ ხლაფრთხეში, რომ დემოკრატიზმის შესახებ ბოდიშის მოთხოვა დაგვკირდება მეორე ინტერნაციონალით.

ვიტყვი, დალაგდება ყველაფერი, დავშოვმინდებთ და მერე ვივლით დემოკრატიზმის გზით. მაგრამ ასე ამბობენ ხომ ბოლშევიკებიც, — დაგვაცალეთ, მოვიშორებთ საფრთხეს

ყოველი კუთხიდან და მერე ჩვენც უთუთო გავისხენებთ დემოკრატიზმის პრინციპებსო. არაფერი არ გვექნება საოქმელო ამაზე მტერი, ძალაუფლება რომ ისევ ჩავივლით ხელში. ძალიან დიდხანს დაგვკირდება ანტიდემოკრატიული გზით სიარული, განსხვავება გამოვა მარტო გარეგნული, ერთი პარტიის მავიგრათ, სათავეში მოექცევა მეორე. თითონ სისტემა მართვა-გამგეობის იქნება იგივე. არაფერი არ შეგვჩრება დასაპირდაპირებელი, ვერაფრით ვერ დავიტრამაზებთ ბოლშევიკებთან შედარებით. სულ უკეთესი პირობებიც რომ დავვიდგეს, ეს დიდი ვარდამავალი ხანა გვექნება გასავლელი, სანამდის შეგვეძლება თქმა, აი ახლა დამუშავებული ვართ, შიში აღარ გვაქვს, ძალაუფლებაში ვეღარავინ შეგვეცილება, და აწი შეგვიძლია საესტეოთ გაეატაროთ დემოკრატიული სისტემაო.

თუ ბოლშევიკებსაც აქვთ ანაირი ვარდამავალი ხანა? თუ მათი ანტიდემოკრატიული სისტემიდანაც გაიღება ხიდი მუშურ-გლახური დემოკრატიზმისკენ, და უფრო ადვილათაც გაისვლება ამ ხილზე?

რადსათვის ავტეხო მაშინ ვაწამაწი, რაღათ ვთარიო ხარ-ურემი ვაღმიდან გამოვმა, ამ გასაქირ შემომღარებო, გავაკეთო ჯერ ერთი ვარდამავალი ხანა, ზედ შივაყოლო მეორე და ვიპოვებო ისტორიულ ოღრო-ჩოღროებში, სანამდის ვავივაკებდე დემოკრატიული გზებისკენ. იქნება, აქედან, აი ამ სადგურიდან, სადაც ვაჩერებულა ჩემი მატარებელი ამ სამ წელიწადს, იქნება აქედან იხედება ვაკე ვაზ? მე ვეთქვამ, რომ იხედება, და გასვლა ვაქირდება, შეუძლებელიც ვახდება, თუ ჩვენ არ მოვეხსენებთ ძალაუფლებისთვის ბრძოლას. გავაკება მოხერხდება შეთანხმებით, თანამშრომლობით, არ მოხერხდება შეუთრგებლობით, დაპირდაპირებით.

აბა რაღა მენშევიზმი? მკითხავთ. მენშევიზმი არის დიქტატურა კლასის, არა პარტიის, მენშევიზმი არის სოციალიზმისკენ სვლა საწარმოო ძალების ზრდით, შრომის ნაყოფიერების მატებით, არა მარტო სახმედრო ზომების საშუალებით. მენშევიზმი არის მშრომელი ხალხის თვითმოქმედება, მუშურ-გლახური დემოკრატია და ამ საძირკველზე ამართული კედლები ეკონომიურ-კულტურული აღორძინების, ეროვნული დამოუკიდებლობის. სხვა წერტილიდან გამოსვლა ბოლშევიკებთან ბრძოლაში მე არ მწამდა არასოდეს, და მენშევიკური პარტია აღარ იქნება მენშევიზმი, თუ ფეხი გადაუტედა სხვა წერტილზე. რათ გვინდა მენშევიზმი, მარქსი, ენგელსი, თუ სხვა წერტილიდან მივანებ რაც მკირდება მშრომელი ხალხისთვის და მთელი ერის ინტერესებისთვისო, — მეტყვიო. საქმეც იმაშია რომ ვერ მივანებ და ბიბლიური ვადმოცემის ებრაელებით დაგვმართება, ეგვიპტის ტყვეობიდან რომ გამოვიდნენ და მერე უდაბნოში გზა დაებნათ აღთქმის კარებისულ.

თუ ბოლშევიზმი ამ ისტორიულ გზატეხილზე ჩამდგარია ისეთ კალაპოტში, რომ ის საწარმოო ძალების ზრდაზედაც ფიქრობს, კულტურულ მუშაობაზეც ეწევა, უპარტიო და პარტიული ორგანიზაციების საშუალებით მუშათა დემოკრატიზმს უახლოვდება,

უკავშირდება, მე ვიტყვი, აცალეთ. ეს იგავე საქმეა, რომელზედაც ოცნებობდა ყოველთვის თითონ მენშევიზმი, ნამდვილი მენშევიზმი, მარქსისტული, სხვა მე არ ვიცი, არც მეცოდინები.

რა გამოვა ახლა, რომ აქ დაუპირდაპირდე, შეეცილო? გამოვა მარტო ხელისკვრა. ხელს კრავ იქითკენ, რომ აღარც საწარმოო ძალების ჯგავრი ექნება, აღარც კულტურული მუშაობის, მუშათა დემოკრატიის ხელახლა ჩამოშორდება და უარესათ ჩაეკიდება ისევ პარტიულ დიქტატურას. ამას იზამ, როცა არ შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ უკეთ შიცილი საწარმოო ძალებისთვის ეკონომიურ კულტურული ამშენებლობისთვის, როცა იმყოფებულ იქნები შენც აღარაფერი გასხვოდეს პარტიული დიქტატურის მეტი.

რეაქცია გამოვა ანაირი ხელისკვრით ჯერ ისეც რომ მოეწყოს, რომ მარტო ჩვენ და ბოლშევიკებში მოხდეს აქ შეხლა-შემოხლა. ვარედან არავინ ჩავვერიოს, ჯერ მაშინაც დაქვეითდება საქმიანობა ყოველ დარგში. დაწყებული საქმე შეჩერდება. ახალი ხომ სულ ვერაფერი დაიწყება. მაგრამ საქართველო არ არის რობინზონის კუნძული. ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ისე, რომ თავის პატარა სახლურებს იქით არ დასქირდეს ყურება. დენიკინის განხეთქი სწვრდენ ხოლმე რუსეთში, — უორდანია და ლენინი ერთ ხეზე უნდა ჩამოეკიდოთო. დენიკინს ძალიან უნდოდა ამიერკავკასიის ალება, რომ ზურგი ვაემგარებინა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ასე სწვრდენ იქმის განხეთქიში. მაშინ ეს არ მოხერხდა. იუ ახლა უნდა ვიცოდეთ, რომ რეაქცია აღარ ჩაიდენს ამ „შეცდომას“. ამიერ-კავკასიის წაგტანება მაშინვე, როგორც კი ატყდება რამე რუსეთში. შეიძლება, რუსი ესერები იმედობენ საზღვარ-გარეთ, რომ ბოლშევიკების შემდგისინი დაეპატრონებიან რუსეთს. ახალი პროგრამა დაუწყებიათ, ძალიან უახლოვდებიან კედლებსო, — არ ვიცი. თუ ესერებმა არა, კედლებმა მაინც იციან, რომ ძალა და ნამდვილი მმართველი რუსეთის იქნება ის, ვისაც იარაღი აქვს. „დემოკრატიული რესპუბლიკის“ საფარით იქნება თუ უსაფრთო, ვაბატონდებიან მონარქისტები. თუ მოხდა როდისმე რუსეთში ვადატრიალება, მოხდება ანაირი, სხვანაირი არა. იქნება სამოქალაქო ომების ხანა ისევ. უკეთეს შემთხვევაში, ეგებ, ცოტა ხანს გავუძლოთ აქ ჩვენ, დიდხანს ვაღას კი არავინ მოგვეცემს. მე წარმოდგენილი მაქვს, ბევრი დღევანდელი „შეურთავებელი იტყვის მაშინ, — სჯობდა ბოლშევიკები ყოფილიყვნო.

დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიული დემოკრატია იძლევა საფესურებს მუშათა დემოკრატიისაკენ. რუსეთში ეს შეუძლებელია. რუსეთში ან ბოლშევიზმი გაეფრება ამ გზას, შექმნის ამ საფესურებს, ან სულ არ იქნება ნამდვილი დემოკრატიზმი, ნამდვილი კი არა, არც უნამდვილო. რაც შეეხება ეროვნულ დამოუკიდებლობას დამიჯერონ, ახლანდელმა შეურიგებლებმა, რომ მაშინ მოსკოვი იქნება თუ ქეტერბურგის „დემოკრატიული“ მთავრობა იტყვის, — სამკოთა კავშირი მეტის-მეტ თავისუფლებას აძლევდა საქართველოსო.

ორში ერთის არჩევა არ შეიძლებოდა, როცა ბოლშევიკები სამოქალაქო ომის და სამხედრო კომუნისმის ხანაში იყვნენ. მაშინ ვამბობდი,—არც ერთ ძალას არ უნდა მივებნოთ, ორივე დამანგრეველიათქო... ეს აღარ ითქმება, როცა ბოლშევიკები ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ადვიან. ორში ერთის არჩევა—ბოლშევიზმი, თუ დენიკინის გავრძელება,—ახლა ადვილია. რეაქტია იქნება ის კი არა მარტო, რომ ეს გავრძელება მოველინოს რუსეთს, რეაქტია იქნება ყოველივე ხელისკერა, ყველაფერი, რაც პირდაპირ, თუ შორიდან მთელი სამოქალაქო ომებს გამოიწვევს ისევ და მშვიდობიან მუშაობას დაარღვევს.

როგორ სჯობია, მაშასადამე: შევიდეთ იმაში, რაც კეთდება, ხელი შეუწყო, მხარი დაუჭირო, თუ განზე გავდგე, სახელი უტეხო, დანგრევაზე ვიფიქრო? პასუხი ადვილია და ცხადი, როგორც ორჯერ ორი ოთხი. გავავლ-გამოვავლებს ხელს საანგარიშოზე და ვნახავ, რომ პირველ შემთხვევაში სარგებელი გამოვა საქმისთვის, ხალხისთვის, სოციალიზმისთვის და დემოკრატიზმისთვის, მეორე შემთხვევაში კი ზარალი და გაკოტრება.

ხელის შეწყობა, თანამშრომლობა არ ნიშნავს ყველაფრის მოწონებას, ყველაფერზე ტაშის კვრას. არც ისეთი კრიტიკა ვარგა, რომ მოსაწონ რამეს ხელავე და მაინც უჭიკინებდე. კრიტიკა კრიტიკისთვის, წარა-მარა რომ აჩრდიდ, ვერ არჩედე, სად სჭირია, სად არა,—რა გამოსადეგი იქნება ამისთანა კრიტიკა.

არც ისე მოეწყობა, რომ საერთო მსოფლმხედველობა და კრიტიკა ერთ ხაზზე იყოს. ერთ შემთხვევაში შეიძლება მენშევიკი მენშევიკთან იქნეს, მეორეში—მენშევიკი ბოლშევიკთან. არ ივარგებს მოუფიქრებელი და აწეწილ-დაწეწილი კრიტიკა. რამდენი კაციც მოხდება ამა თუ იმ სასაქმო ორგანიზაციაში, იმდენი კრიტიკა თუ იქნა, არე-დარევის მეტი არაფერი გამოვა. ეს უნდა იყოს, ერთი სიტყვით, როგორც საშუალება, და არა ისე, რომ ამითი თავდებოდეს თანამშრომლობა.

წინდაწინ ყველაფერს ვერ გამოზომავს კაცი. ეს პრაქტიკის საქმეა. იყოს ჯერ გარკვეული პრინციპი, არავითარი დაპირდაპირება, არავითარი შეცდომა ძალა-უფლებაში. თანამშრომლობა ეკონომიურ-კულტურულ აღმშენებლობაში და კრიტიკა, როგორც ერთ-ერთი საამშენებლო მასალა.

კიდევ ვიტყვი: ბევრს გლახა გუნებაზე დააყენებს ეს ჩემი ძიება, მაგრამ ვერაინ ვერ შემომძამებს, რომ მე არ გამოვიდვიარ საქმის, ხალხის ინტერესებიდან, და ეს ინტერესები არ მაქვს მხედველობაში საბოლოოთ. რაც უნდა იყოს ჩადგმული შეურიგებელ გულში, ობიექტიურად ეს ერთად-ერთი გზაა უფრო შესაძლებელიც და უფრო მისაღებიც.

არ ვიცი, იქნება ერთი, ან ორი წერილი მეყო კიდევ იმის სათქმელად რაც მაწვება კალამზე ამ საკითხში. ჯერ კი გავთავებ ერთი შეკითხვით. შევიკითხებ ბოლშევიკებს. შეიძლება მერვე მომიხდეს, მაგრამ ჯერ ეს ერთი.—როგორ მიჩვენებ, ვთქვა მეც, რომ ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის წინეთ დაერწმუნდი, ჩემი პარტია მოლაღატე იქნებოდა, 1924 წელში იქიდან გამოვიდვიართქო და სხვა. ეს გვირდებათ

თქვენ? მაგალითისათვის გეკითხებით, პრინციპიალურად ვაყენებ საკითხს. მე ვიცი, რომ ერთბაშით რამდენიც უნდა დასწერო, რა შეწყობილი რეზოლუციებიც უნდა დაამზადო, შეურიგებლობა არ გადაიქცევა კაცთა შორის სათნოებათ. მე ვიცი მთელმა პარტიამ, რომ გითხრათ,—არაფრის ჯავრი არაშაქვს, ოდონდ საქმიანი სათანამშრომლო კრიტიკის საშუალება მომეცითო, თქვენ ამას ვერ მისცემთ. ეს კი არა, მე რომ გითხრათ კერძოთ, ლეკციების, მოხსენების წასაკითხათ გამიშვით აი ამ საკითხებზე, და ამ ხაზზე, რაც ამ წერილებში მაქვს, ვერ იზამთ, არ გამოშვებთ,—იქნება სხვა რამე ჩაილაპარაკოს იქ სიტყვა-სიტყვის შუაო. ვერც იმას იზამთ, რომ წინ-დაწინ ვიკონიო ხოლმე მოლაპარაკება ამა თუ იმ სასაქმო ნაბიჯის შესახებ თანამშრომლობის ნიადაგზე,—იქნება სხვა რამეც წაიფიქრებთ იმას გარდაო. ჩვენც ასე ეტყვიანი ვიქნებოდით თქვენ ალაგას ერთბაშით, ვიმეორებ, არაფერი პირობა არ დაიდება. მაგრამ თქვენ კარგათ იცით, მეტი წილი თქვენზეა დამოკიდებული, რომ მოხერხდეს ცდა, ნიადაგის გასინჯვა, რომ ერთი ნახერტი მაინც გაეკიდეს შეურიგებლობის კედელში, რომ დატრიალდეს სუფთა ჰაერი, რომ არ აღიოდეს ათასნაირი საწამლავე ორთქლები და არ იწამლებოდეს ქვეყანა. რა ახალ ნაბიჯს გადადგამდით, რა ახალ სიტყვას იტყოდით თქვენ? ყოველნაირი აზრის სისწორე თუ უსწორობა პრაქტიკაზე დაინახებათ,—ასე დავციბებარა მარქსმა.

ბ. დედაჩიანი.

(შემდეგი იქნება)

ახალ გზას რომ იძლევი, კველზე სიგარტულა უნდა სთქვათ.

სეთ დედაჩიანი არის მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ავტორიტეტული სახელი. მის ხმას უსათუოდ ყურს უგდებენ. როდესაც პირველად მან დასტამბა წერილები ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროს ორგანოში, მაშინ მენშევიკური პარტიის თფილისის კომიტეტი სწერდა ცენტრალურ კომიტეტს, რომ სეთ დედაჩიანის წერილებს დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიის წევრებში და სთხოვდა სათანადო ზომების მიღებას (ნ. ხომერიკთან ნახულ საბუთებიდან). ამ ეამად გამოქვეყნებულია მთელი რიგი მამულაინებელი დოკუმენტებისა, რომელნიც ჩვენ მოგვითხრობენ პირდაპირ იმის საწინააღმდეგოს, რასაც თავის წერილებში სწერდა დედაჩიანი. ის, მაგ., კატეგორიულად უარყოფდა მენშევიკური პარტიის კავშირს ბანდიტურ მოძრაობასთან, საბუთები კი, პირიქით, წინააღმდეგს ლაპარაკობენ. საერთოდ სეთ დედაჩიანი ცდილობს გასწვროს თავისი პარტიის ცოდვები, მისი შეცდომები და პარტიის ტაქტიკა მიმართოს სულ ახალი გზით. ერთ-ერთ თავის წერილში ის სწერდა: „მე გავხდები ჩვენი პარტიის პოლიტიკური მოწინააღმდეგე, თუ მან ვერ გამოიკვლია“ გზა საქართველოს საკითხშიო.

„პარტიას არ შეუძლია იმ გზით სიარული, რომლითაც ის მიდის უკვე სამი წელია, მხავალი მზავსო ამონაწერების მოყვანა შეიძლება სეთ დედაჩიანის წერილებიდან, თუმცა, როცა სეთ დედაჩიანი ახალი გზის შესახებ ლაპარაკობს, სრულდებით არაფერს არ ამბობს ძველის შესახებ.“

„თავიდანვე იყო დაშვებული შეცდომა: პარტიის ტაქტიკას საფუძველად ედებოდა რაღაც საეჭო და ხელმოუკიდებელი იმედები.“

ეს ძალიან ცოტაა, მოქ. დედაჩიანო, ძველი ტაქტიკის ასახსენლად. თქვენს გამოხვედში პრესაში თქვენ აშკარად არა ხდით ფარდას მენშევიკური პარტიის ცეკას ტაქტიკის ბუნებას უკანასკნელ წლებში. თქვენ არ უმახუხებთ იმ კითხვებზე, რომელნიც ანტიერესებთ იმ მოუხებზე, გულვებებს, რომლებმაც დასტოვეს მენშევიკური პარტია; თქვენ კონკრეტიულად არაფერს არ ლაპარაკობთ ძველ ტაქტიკაზე, როცა ახალ გზაზე უთითებთ.

„პარტიამ უნდა მოიხედოს უკან,—სწერს სეთ დედაჩიანი—და ცეცხლის კრიტიკაში უნდა გაატაროს მთელი თავისი გზა.“

მაგრამ ეს „ცეცხლვანი კრიტიკა“ არა აქვს თვით დედაჩიანსაც.

არ ემარა იმის თქმა, რომ უკანასკნელ სამ წელში პარტიის ტაქტიკა არ იყო სწორი, უნდა ითქვას, რატომ არ იყო ის სწორი, უნდა ითქვას აშკარად, რაში მდგომარეობდა თვით ეს ტაქტიკა?

ამას კი არ შერება სეთ დედაჩიანი. იქნებ ის ფიქრობს, რომ თავის დროზე ეს ტაქტიკა იყო სწორი და მხოლოდ მეოთხე წელში მას სჭირია შეცვლა შეცვლილ პირობების მიხედვით? ამ კითხვაზე უნდა მიცემულ იქნას გადაჭრილი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, მთელი აზრი სეთ დედაჩიანის გამოხვედებისა, რომელთაც აზრათ აქვთ პარტიის ნამსხვრევების გადარჩენა გაუგონარ დაშლისაგან, მკრთალდება და თითქმის საფეხებით გასაგები არ იქნება იმათთვის, ვინც თავის თავს მენშევიკთან მჭიდრო კავშირში სთვლის.

მოქ. ხმალაძე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა არალეგალურ მენშევიკურ ცეკას მუშაობაში, სწერს:

„ჩემი გამოქვეყნებით, შეიძლება, რამოდენიმედ სეთისაც ვაწყენიო. ის თავის წერილებში სწერს, რომ მან არაფერი იცოდა იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ცეკისტები აწარმოებდნენ ავანტიურის—საქართველოში აქანყების შესამზადებლად და მის შესახებ მან პირველად შეიტყო მხოლოდ ჩეკაში. ამ თავის არ ცოდნას ის ხსნის არალეგალური პირობებით, რომელიც საშუალებას არ იძლევა თანხმობანი და კოლევიალური მუშაობისა.“

აჯანყების საკითხი ცეკისათვის ხში პირველ ხარისხიანი საკითხი იყო, მის ირგვლივ სწარმოებდა ცეკას მთელი მოღვაწეობა. ნუ თუ შეიძლო ამხ. სეთის ეს არ სცოდნოდა? „შემდეგ იგივე ხმალაძე სწერს იმის შესახებ, რომ ცეკას დავალებით გენუის კონფერენციის დროისთვის მას უნდა მოეზადებია აჯანყებისათვის მთელი ბორჯომის რაიონი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და ეს აჯან-

ყება უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში და სხვა.

ეს გამოიმჯღავებანი მხოლოდ დამატება იმისა, რომლის შესახებ ბევრი იწერებოდა და მფიქვლებოდა საბუთებით ხელში.

კითხვები მოკ. ს. დევდარიანს:

1) სთვლის თუ არა ის მენშევიკების ტაქტიკას უპასუხებელი სამი წლის განმავლობაში არა სწორად?

2) თუ სთვლის არა სწორად, მაშინ რაში მდგომარეობდა ძირითადი შეცდომანი ამ ტაქტიკისა?

3) სტვობს თუ არა ის მენშევიკური პარტიის კავშირის არსებობას საქართველოში ბანდიტურ მოძრაობასთან?

4) სტვობს თუ არა ის, რომ პარტია ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას შიგნით საქართველოში და ამზადებდა ყველაფერს იმისათვის, რომ მომხდარიყო გარედან უცხო ხიშტებით ინტერვენცია?

5) როგორია მისი დამოკიდებულება სრ. საქართ. ყოფ. მენშევიკთა ყრილობასთან, რომელმაც გააუქმა პარტია, როგორც პარტია მუშებისა და გლეხებისა?

თუ ამ კითხვებზე აშკარად და გარკვევით უპასუხებთ, მხოლოდ მაშინ შეიძლება ახალი გზის შესახებ საკითხის დასმა. **ის გასაგები გახდება მაშინ, როცა ძველის შესახებ სიმართლეს გაიგებ.**

რასაკვირველია, ეს კითხვები არ ამოწურავენ ყველაფერ იმას, რაც უნდა იქმუილიყო ძველი გზის შესახებ. მაგრამ ეს კითხვები ძირითადი კითხვებია და მათზე უნდა უპასუხოს (რასაკვირველია, თუ მას ეს სურს და თუ გულწრფელია მისი სურვილი პარტიის წამსხვრევების ახალ ნიადაგზე დაყენების შესახებ) სვით დევდარიანმა.

რუბენი.



პასუხად რუბენს.

ესეც არის „Правда Правда“-ში წაიკითხეთ თქვენი ჩემდამი მომართვა.

ვისწრაფვი გიპასუხობთ.

როცა ახალ გზაზე უთითებთ, ძველის შესახებ უნდა სთქვათ სიმართლეო, ლაპარაკობთ თქვენ. გეთანხმებით. უამისოდ შეუძლებელია. და ჩემი სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ უნდა ვებრძოლოთ ყოველ გვარ ილიუზიებს; უნდა შეუპოვებლად გავსროსოთ ყოველგვარი მოლოდინი გარედან. ამის შესახებ მე ვლაპარაკობ არა მარტო გუშინს აქეთ. ჯერ კიდევ ბათუმში, იქიდან წამოსვლის წინ, როცა არ იყო არც ერთი წუთი დამშვიდებული ლაპარაკისათვის, მე ვაკვირით შევძელი თქმა ჩხეიძე და რამიშვილისათვის—თუ თქვენ ფიქრობთ დაყარდობას იურიდიულად ცნობაზე, მაშინ პარტია დაილუპება, რადგანაც ის იძულებული იქნება მასსას ალუქრას რაღაც იმედები ამ ცნობასთან დაკავშირებით.

მაგრამ სწორედ, როგორც მე უკვე ვწერდი, ჩვენი არალეგალური მუშაობა დაიწყო კვალკველ ნებების და გარედან მოლოდინის ატმოსფეროში. მე ვფიქრობდი, დრო გაივლის და

ილიუზიები მოკვდებიან ბუნებრივი სიკვდილით. მაგრამ ჩემი ეს ფიქრიც ილიუზია აღმოჩნდა. ხალხი განაგრძობდა ცხოვრებას იმით, რომ „აი იქნება რაღაცა“, მათ უნდოდათ ეწამათ და სწამდათ კიდევ „სასწაული“. როგორც კი ეროვნულ ჩემთან იყო ნ. ხომერვი და ცეკას კიდევ ორი წერილი. მაშინ მზადდებოდა ყოველ მენშევიკთა თფილისის საქალაქო კონფერენცია. მე ვსთქვი, რომ პარტიისათვის ერთად ერთი გამოსავალია ხელისუფლებასთან შერიგების საკითხის დასმა მეთქი. არავის არც ერთი სიტყვა არ უთქვამს წინააღმდეგ. მხოლოდ ნ. ხომერვიკმა შენიშნა: მასებს ეს არ სურთ, მასებს წაელენ ჩვენგან, თუ ჩვენ ამას ვიტყვით. მე შემდეგ ვფიქრობდი ამ სიტყვებზე: რატომ არ აღუნდათ მასებს? (ხალხი იმითომ, „რომ რაღაცასი“ იმედი აქვთ.

მიაქციეთ თუ არა ყურადღება ქუთაისის არალეგალური კონფერენციის ერთ-ერთი წევრის სიტყვას.

— ბოლო უნდა მოეღოს ამ ყოველ დღიურ მოლოდინს, სთქვა მან, და იქვე დაუმატა, — „მე იმედი, მაქვს რომ ჩვენი განთავისუფლება ახლო მომავალში იქნება“. ვანა ეს კუროზი არ არის? მას უნდა, რომ არავის არ ქონდეს იმედი, არავინ უტდიდეს, თვითონ მას კი სულში უზის მოლოდინის ღმერთი.

და აი ამ ღმერთზე უნდა ითქვას სიმართლე, უნდა ვებრძოლოთ მას, აი მე აქედან დავიწყე, როცა ახალ გზაზე წუთითე. ამისთვის არაა საკმარისი ჩემი ხუთი წერილი. ეს მუშაობა უნდა აწარმოვო სერიოზულად და დიდი ხნით. უნდა ისარგებლო ყოველი ფაქტით საერთაშორისო ურთიერთობიდან და ყველა მწყურვალთ და მშვირთ უნდა ჩაუტყვევოთ თავი აზრი, რომ ეს მოლოდინი არაფერს მოიტანს, რომ არც ახლო და არც შორეულ მომავალში „იქედან“ არაფერი მოვა.

და როდესაც ეს აზრი შეთვისებული იქნება გულით და ქუთით, მაშინ ვაადვილებდა ლაპარაკი ახალი გზების, პრინციპების შესახებ. მაშინ ყველა დასთანხმდება იმაზე, რომ ძალაუფლების დასაპყრობად ბრძოლაზე უარის თქმა და ამ ხელისუფლებასთან შერიგების გზა პრინციპიალური თვალსაზრისიდან უფრო მისაღებია, ვინემ გზა „განთავისუფლებისა“ გარედან

თქვენ კი, მოკ. რუბენ, მე მიჩვევთ როლს „каюшагося дворянина“. („მომხანებელი აზნაურისა“). თქვენ გინდათ, რომ მე დავდგე პარტიის გამოიმჯღავების გზაზე, თქვენ გსურთ გქონდეთ დამატებები იმაზე, „რომლის შესახებ მე ვწერდი და ვამტყუნებდი დოკუმენტებით ხელში“. სხვანიჩრედ რომ ვსთქვათ, თქვენ გსურთ გქონდეთ მასალა, რომ შესაძლო იყოს პარტიის ყოველი წევრის დამნაშავეის სკამზე დასმა, რომ შეიძლებოდეს, საბუთებით ხელში, ყოველი მენშევიკის დახვრეტა, რომ რამე მოხდეს ქვეყანაში.

თქვენ აყენებთ საკითხს სასამართლო-გამოძიების წესით. მე კი მას ვაყენებ პოლიტიკურად. თქვენ მიდინხართ პოლიტიკური მუროსიძების ხაზით, მე კი ვცდილობ დავსახო გზებზე ჩვენი ერთმანეთთან ურთიერთობის გასაჯანსაღებლად. თქვენ იყურებით წარსულში, მე კი მომავალსიკენ.

მე სასტიკად ვეპყრობი პარტიას და კერძოთ, თავის თავს, ვეპყრობი უფრო სასტიკად, ვინემ შეიძლება მოპყრობა ყველა ნახულ საბუთების საფუძველზე. მე ვლაპარაკობ, რომ თუ პარტიის ტაქტიკას საფუძველად უქვს ძალა-უფლებისათვის ბრძოლის იდეა, და თუ პარტია განსაკუთრებით აწარმოებს შეურიგებელ პოლიტიკას არსებულ ხელისუფლების მიმართ, მაშინ ყველაფერი გაგახსენდება აუცილებლობით, რა გინდ უარყოფითად არ უყურებდეს პარტია ინტერვენციას, აჯანყებას და ყოველგვარ ავანტიურას. ამ აზრით მე უკვე უპასუხე თქვენს შეკითხვებს, სანამ თქვენ მათ წამოაყენებდით.

მაგრამ თქვენ გინდათ იცოდეთ კონკრეტულად, სახელდობრ რაში ვხედავდი მე ჩვენი ტაქტიკური ხაზის უსწორობას უპასუხებელ წლებში. ვიტყვი ყველაფერს, რაც მე ვიცი ახლა, რა სასც შევიტყო შემდეგ, როცა ყველა მასალგეს გავცნობი აქ და თქვენ უნდა გაიგოთ, რომ მე ისე ვაყენებ საკითხს, რომ სრულიად არ მესაჭიროება რამის დამაღვა. ინტერვენციის შესახებ კითხვა მე არ მაწუხებდა. მე არასოდეს ეტვი არ შემპარვია იმაში რომ ის იბიექტიურად შეუძლებელი იყო. ძალიან არც აჯანყების საკითხი მაწუხებდა. მე ვიცოდი, რომ საქართველოში აჯანყება იმდენად შესაძლებელია, რამდენად კარლ მარქსის შესვლა ს. ს. რ. კავშირში ალ. ტოლსტოის ფანტასტიური რომანის („აელტა“) მიხედვით.

მაგრამ მე მუშაობის დაწყებიდანვე მივაქციე ყურადღება სახმედრო ინფორმაციას, რომელსაც მე მიგზავნიდნ დრო გამოშვებით. მე ვკითხულობდი ამ ინფორმაციას და რამოდენიმე ხნის შემდეგ შევეკითხე ამხანაგებს—რისთვისაა საჭირო ეს ინფორმაცია? იმათ მე მიპასუხეს, რომ ეს ინფორმაცია საზღვარ გარედ იგზავნებო. ვაიდა ცოტა ხანი და მე ამ ინფორმაციაში წავაწყდი აშკარა ტყუილ ცნობებს. დამამახსოვრდა ერთი მათგანი. ერთ ბიულეტენში ეწერა, რომ ბაქოში ბოლშევიკებმა პანკრატოვი დახვრეტესო. მეორე დღეს კი მე ვაგვიგე, რომ პანკრატოვი აქ არის. ცოცხალია და ჯანსაღად არის. მე მივწერე ბარათი ცეკას მდივანს, რომ უნდა შეწყვეტილ იქნას ეს სისულელე, ვინაიდან სხვა ცნობებიც ისე იქნება სწორი, როგორც ცნობა პანკრატოვის დახვრეტის შესახებ. მე მიპასუხეს, რომ ინფორმაცია შეწყვეტილი იქნებოდა. შეწყდა თუ არა, მე არ ვიცი, მე კი ის მეერ არ მიმიღია.

ყველაზე მეტად მე მაწუხებდა საკითხი ექსცესების, ბანდიტიზმის შესახებ. აქ არის უმცირესი წინააღმდეგობის ხაზი და ადვილად შეიძლება ვინემ ფეხი წამოკრას მეთქი. და აი ყველაფერი ის, რაც მე ვიცი.

პირველად, როცა მე მუშაობას შეუდექი (1922 წ. მარტში) მე მიჩვენეს ნ. ჟორდანიას წერილი. მე ამ წერილში წაიკითხე: „უნდა გაუქმდეს პარტიზანული რაზმები ყველგან, სადაც კი არის ის.“ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მე მიჩვენეს მეორე წერილი. მაშინ საზღვარგარეთელი ბიურო იწერებოდა: უნდა მიიღებულ იქნას ზომები, რომ პარტიულ ამხანაგებს არავითარი დამოკიდებულება არ ქონდეს პარტიზანულ რაზმებთან, თუ არ მოხერხდა მა-

თი ლიკვიდაცია ყველგან. ამ წერილს სწერდა, —არ გაგიკვირდეთ, მოქ. რუბენ, —სწერდა ნ. ხომერიკი სტამბოლიდან.

შემდეგ 1922 წ. ზაფხულში მე აქ პირველად გავეგონე ამბავი ჩოლოყაშვილის შესახებ. მის შესახებ მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ. მე გაუგზავნე ბარათები ცეკას წევრებს; იციან თუ არა მათ თუ რა მოვლენაა ეს. მივიღე ჩოლოყაშვილის მისამართით ზიხლით აღსავსე ორ სტრიქონიანი წერილი ანანია ხალუქვაძეძაგან: — „მას ჰყავს 30 ყაჩაღი და ეს არის და ეს“. სექტემბრის ამბების შემდეგ, როცა მე ჩვენი ურუნალ „საქართველოს ხმისათვის“ მასალას ვაძლევდი ლეო რუხაძეს, მან მითხრა:

— ჩოლოყაშვილმა ერთ თვეში ჩვენ იმაზე მეტი ზარალი მოგვაცენა, ვინემ რუსულმა ოკუპაციამ მთელი ამ ხნის განმავლობაში.“

გურიის ამბების შემდეგ ობოლადის მოკვლასთან დაკავშირებით ან ამ ამბების შემდეგ ნ. ხომერიკი იყო უკვე აქ, მან რატომღაც შემოირბინა ჩემთან აღელვებულად. საღამოს ათი საათი იყო. „მეშინია, რომ ჩოლოყაშვილმა ისეთი რამ არ ჩაიდინოს, თორემ დაარბევენ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს“. მეც ამისი მეშინია შეთქი, უთხარი, მაგრამ რა ვქნათ? მან არაფერი არ მიპასუხა და წავიდა.

კიდევ ერთი ფაქტი. 1923 წ. ზაფხულში გურიიდან ჩამოსულმა ერთმა ამხანაგმა, რომელიც შემთხვევით შემხვდა, მითხრა, რომ გურიის საორგანიზაციო კრებაზე თვლისიდან ჩამოსულმა ცეკას სახელით გვითხრა, რომ ნებადართულია ტერორისტული აქტები.

მე ნ. ხომერიკთან ამის გამო მქონდა შემდეგი ლაპარაკი:

— შენ ალბათ იცი ეს, ვის შეეძლო ეს გადაეცა იმ ამხანაგებისათვის ცეკას სახელით?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტყუილია, ამის გადაცემა არავის არ შეეძლო, — იყო პასუხი.

გქონდეს მხედველობაში, რომ ვისაც არ უნდა გადაეცა ეს ცეკას სახელით, პასუხისმგებელი შენ იქნები შეთქი.

— მე საცხებით ვიღებ პასუხისმგებლობას იმისა, რომ ამის მსგავსს არავინ არ გადასცემს, განაცხადა მან.

ყველა ეს ფაქტები მელაპარაკებოდნენ მე, რომ პარტიას შეუძლებელია კავშირი მქონდეს ბანდიტურ მოძრაობასთან. მაგრამ მე აქმინაც არ ვიყავი დამწვინებული და ვფიქრობდი, თუ ჩვენ ამ შეურიგებლობის ხაზზე ვიდგომებით, თუ ჩვენ ჩვენი ავტაქციით და პროპაგანდით ვავაწვინებთ და ვავალრმავებთ სიძულვილს არსებული ხელისუფლების მიმართ, მაშინ ბოლოს და ბოლოს ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდებით, რომ გოგოლის ოსიპის მსგავსად ხელში ავიღებთ ყველაფერ იმას, რაც შეგვხვდება იმიტომ, რომ „в дороге все пригодится“ (გზაში ყველაფერი გამოგადგება).

ამიტომ მე ვლაპარაკობდი: უნდა გასწორდეს ტაქტიკის ძირითადი შეცდომა, უნდა უპირველესი იქნას ერთი სისტემის მეორე სისტემისადმი დაპირდაპირება და მუშაობა გადატანილ იქნას საქმიანი კრიტიკის გზაზე.

დავიწყე თუ არა წერა საინიციატივო ბიუროს ორგანოში, ნ. ხომერიკმა მაცნობა: „მასლები საშინლად აღელვებულა შენი წერი-

ლებით, მწერენ, მეკითხებიან ყოველივე მხრიდან.“

არ შეიძლება ტაქტიკა შეუფარდო მასლების სულიერ განწყობილებას. ახლა მე ვგრძნობ, რომ ისინი უფრო მეტად არიან აღლევებული. მე, ალბათ მაკინებენ ყოველ ოჯახში, სადაც თითქმის ბავშვების მომთვლასაც არ აპირებენ, სანამ აქ ბოლშევიკები სხედან. მე სამუდამოდ ვამიტყდა სახელი, მაგრამ მე არ შემიძლია ზრუნვა ჩემი კეთილი სახელის შესახებ, როცა ვხედავ, თუ რა მდგომარეობაში მოექცა პარტია.

და როდესაც მე ვიკონებ ყველაფერს, რაც მე მესმოდა ამხანაგებისაგან ავანტიურის წინააღმდეგ, და როდესაც უფიქრდები ამ ნახულ დოკუმენტებს, მე ვამბობ, რომ ჩემი თეორია სწორია.

ჩემთვის ცხადია, რომ, როცა ტაქტიკას უღვეს საფუძვლად შემედარი პრინციპები და აქედან გამოდის პარტია, მაშინ ის წაეა იმ ხაზით, რომელიც მისთვის პრინციპიალურად მისაღები არაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არა აქვს.

არ რატომ დავიწყე მე იქიდან, რომ საჭიროა შეუბრალეულად განადგურება ყოველგვარი ილიუზიების და იმედებისა გარედან და მაშინ ადვილი იქნება ტაქტიკის ძირითადი შეცდომის გასწორება — ერთი სისტემის მეორისადმი დაპირდაპირებისა —, მაშინ ადვილი გახდება მასლების დარწმუნება იმაში, რომ მუშაობა არსებულ წყობილების ნიადაგზე — ერთად ერთი გზაა.

მაგრამ, მოქ. რუბენ, მისებში ალბათ ლაპარაკობენ იმას, რომ ჩემი ბაასიც ძალაუფლებასთან შერიგების შესახებ — ილიუზიაა, ვინაიდან ხელისუფლება არ გვაძლევს ჩვენ საშუალებას საქმიანი მუშაობისა. და ყველას ადვილად შეუძლია ამ ჩემი ილიუზიის განადგურება. ატმოსფერის გაჯანსაღება დამოკიდებულია არა მარტო ჩვენგან, არამედ თვევენგანაც.

თქვენ მე შეკითხებით, თუ როგორია ჩემი დამოკიდებულება ყოფილ მენშევიკების ყრილობასთან.

მე ვგრძნობ, რომ თქვენ ამაში ხედავთ ერთად ერთ გამოსავალს იმათთვის, ვინც დარჩენილია ჩვენს პარტიაში. მაგრამ ყოფილმა მენშევიკებმა თავისი თავი არსებითად, კომუნისტებად გამოაცხადეს. რისთვის უნდა ვაკეთოდე ასეთი ზიგზაგი; პირველად თითქმის განსაკუთრებულია იდეოლოგია ყოფილი მენშევიკების, მერე კი თქვენთან? რისთვის ეს? ასე საქმე შეიძლება გადაწყდეს კერძო პიროვნებისათვის და აქ არ გავიმეორებ იმას, რაც ნათქვამი მაქვს მეოთხე წერლის ბოლოს.

მოიფიქრეთ ამის შესახებ, მოქ. რუბენ, და შევთანხმდეთ ჯერ-ჯერობით იმ ერთში მინც, რომ უნდა ვითქროთ მომავალზე მეტი, ვინემ წარსულზე.

ბ. დედაჩიანი.

ფოთის მუშათა სასახლის განხილვის გამო.

ჩვენი გულითადი მხურვალე სალაშქრო ფოთის მუშებს.

ისინი 3 თებერვალს ხსნიან თავიანთ სასახლეს, მუშათა სასახლეს. სასახლეში შედის ის, ვინც მუდამ სასახლეს აშენებდა და მუდამ კოხში ცხოვრობდა. შედის როგორც პარტი-პარტი არა მარტო ამ სასახლისა, არამედ მთელი იმ ცხოვრებისა, რომელსაც ის სკენდ თავისი დაკარგებული ხელმძღვანელი. დღევანდელ ნგრევის ხანაში ეს დიდი და საგულისხმო მოვლენაა. დღევანდელ გარდამავალ ხანასაც ეს ახასიათებს. სანამ ახალი მოეწყობოდა, დროა საჭირო, ამ „დროს“ კი მუშათა კლასი ფაქტობრივად, გულ-ხელ-დაკრფით არ უყურებს. ის აშენებს ახალ ცხოვრებას, ქმნის მატერიალურ აღმშენებლობის შესაძლებლობას, ახალ ურთიერთობათ. მან იცის, რომ კიდევ არაფერი არა ვარდება ძირს, რომ ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა ისაა, ის, მუშათა კლასი, როგორც სოციალური, ისაა გარდამობრივი მთლიანი ერთეული. და თუ ამ ძალამ აღმშენებლობითი უნარი, ნიჭი, ტალანტი არ გამოიჩინა, მაშინ მისი ლაპარაკი განთავისუფლებისთვის მხოლოდ ლათიაობა ყოფილა. მაშინ მართალიყოფილან ისინი, ვინც ქვეყანას არწმუნებენ, თითქოს მუშებს მხოლოდ ნგრევა შეუძლიანთ, აღმშენებლობა კი არა.

და, აი, ფოთის გადამტვირთველ მუშებმა ამ აზრის გაბათილება იტვირთეს. იტვირთეს და კიდევ აასრულეს. მათ დიიწყეს ამ სასახლის აშენება ჯერ კიდევ 1920 წლის აგვისტოს, დაიწყეს თავიანთი ხელფასიდან განსაზღვრული რაოდენობის საამონაშენებლო თანხაში გადაირიცხებთ და მაშინვე შეუდგენ საქმეს. ბევრი რამე უშლიდა ხელს სასახლის აშენებას მის შემდეგ, მაგრამ ერთხელ დაწყებული საქმე მუშებს არ მიუტოვებიათ. დაასრულეს კიდევ.

ფოთის მუშათა სასახლე აგებულ იქნა თვით მუშათა ინიციატივით, აზრი თვით მუშებში დიიბადა: გურიის რკინის გზის გაყვანას მუშათა და გლეხთა სახელმწიფო ხელმძღვანელობდა, ფოთის მუშათა სასახლეს თვით მუშათა ორგანიზაცია მეთაურობდა. აღმშენებლობითი უნარი დღეს ბურჟუაზიას არა აქვს, ის აქვს მუშათა კლასს. პირველი სულს ლაფავს, მეორე კი მაგრდება და ლინიერდება. ერთი ბარდდება ისტორიას, მეორე იბარებს ისტორიას.

აი რატომ ვეგებებით ჩვენ ასეთი ალტაცებით ფოთის მუშების მიერ მათი სასახლის გახსნას, აი რატომ გვიხარია.

კიდევ ერთი ჩაქუჩი დაპირება მუშებმა ამით ბურჟუაზიულ თავის ქალას. ერთხელ კიდევ ჩასცეს მახვილი მომავლედან ძველს ქვეყანას და ზემიბთა და სიხარულით ხელმძღვანელობდა ცხოვრებას.

ჩვენც სიხარულით ვხვდებით ფოთის მუშების ზემს, მათს გამარჯვებას და ვუბნებთ მათ: — ჩვენი საუკეთესო ლამაზი სურვილები მუდამ თქვენთან, ამხანაგებო!

რ. კორქია.



საქ. სოც. დემ. პარტიის კონკრეტული პოლიტიკური და პარტიული პოზიციები და შედეგები.

(გაგრძელება)

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობის და ერის განთავისუფლების პროცესში ახლო არ იკარგებდა ნამდვილ რევოლუციონერულ ელემენტს (მუშებს), ის თავის დროის გასწვრივ იკრებოდა წერილ ბურჟუაზიას, სამღვდლოებს და მემამულეებს. და იყო რა ამ მერყე და კონტრ-რევოლუციონერული სოციალური ძალების მიმართ, საქართველოს მენშევიკურ პარტიის ცეცა უქმნებდა ქარაფშუტა სასიძის სიადვილით ისტერიულით გაიძახის—წავიდენ, ეშმაკმა წაიღოს მათი თავი, ისინი „ხელმეტი ბალასტია“, ჯვარს დავიწერო თავად ჩოლოყაშვილზე და სხვა.

უდიდეს დამარცხებას განიცდის პარტია. ის იშლება, რადგან პარტიას სტოვეებს 12.000 წევრი, პარტიიდან გადის მისი ძირითადი გული და პარტიის ცეცა ამ მოვლენის დაფიქრებულათ შესწავლის მაგიერ, რაქტივის გადაზინჯვეს მაგიერ ბოროტ ზერელობას იჩენს საქონის გადაჭრაში. არის თუ არა ეს სოციალისტების საქმისადმი. მისი ლაღატი? აქვს თუ არა უფლება მენშევიკურ პარტიის ცეცას იმოქმედოს სოციალისტების სახელით, როდესაც ის პარტიულ კომიტეტის ინტერენებისათვის არღვევს თავის საკუთარ პარტიას?! ასეთი გადახრა სოციალისტურ ხაზიდან მენშევიკურ პარტიაში შემწეული იყო ოქტომბრის რევოლუციის დროიდან. მენშევიკური პარტია იმ დროიდან, როდესაც ის დადგა კონტრ-რევოლუციონერულ პარტიებთან კოალიციის პლატფორმაზე და დაიწყო მოქმედება ინტერპარტიულ კომიტეტის დირექტივების მიხედვით, ნელ-ნელა და სისტემატურათ სტოვეებს თავის სოციალისტურ პოზიციებს. და ბოლოს და ბოლოს ის (საქართველოს ს. დ. მ. პარტია), იმავე ფარჩივით გამოიქვით, მივიდა იქამდის, რომ მის უკვე „აღარ აქვს ლოზუნგები“, რომელთა გარშემო „შესაძლებელი იყოს რევოლუციონერული კლასის განსაზღვრული ნაწილის შეგვეფუძება, შეკავშირება“.

მენშევიკურმა პარტიამ სოციალისტების საქმეს ამჯობინა ბურჟუაზიასთან კოალიციის პრინციპი და ამის შემდეგ ის თანდათან მიეჭანება ქვევით, ბურჟუაზიისაკენ. ამასთანავე დამახასიათებელი მომენტი ამ პროცესში არის პარტიის მაღალი ფენების სრული იზოლიაცია. პარტიის მაღალი ფენები, ჩაებმენ რა სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში, უკანა ხაზზე აყენებენ სოციალისტურ საქითების გააძურას, პარტიის ქვედა ფენები კი თავის საკუთარ ცხოვრებას იწყებენ და შორიდან აღენებენ თვალყურს თავისი უფროსი ამხანაგების მუშაობას; უკანასკნელებში დროგამოშვებით იფეთქებს რევოლუციონერული სტიქია, რომელსაც მიყავს ისინი ფარულ კოალიზიამდე პარტიის მაღალ წრეებთან.

გაიხსენეთ როგორი აღშფოთება გამოიწვია ფართო პარტიულ მასებში წითელი დროშის მოხსნამ სასახლიდან. „თქვენ იცით, ამბობს ფარჩივით, რომ როდესაც სასახლიდან ჩამოხსნეს

წითელი დროშა—ამ საკითხმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია და ჩვენი ორგანიზაციის უმრავლესობამ დაადგინა ჩამოკიდოს ეს დროშა ისევ წინანდელ ადგილზე“ (იხ. საქ. სოც. დემ. პარტ. ყრილ. სტენოგრ. ოქ. გვ. 61). „ჩვენ ყველანი—ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა, ამბობს მუშათა ფრაქციის წინამძღვე ვიყავით სასახლიდან წითელი დროშის ჩამოხსნის“ ეს ფაქტი არ არის შემთხვევითი ეპიზოდი დემოკრატიულ საქართველოს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების პრაქტიკაში. ის ლოლიკური შედეგია იმ საერთო პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ კურსის, რომელიც აიღო სოციალ-დემოკრატი. მთავრობამ; ეს კურსი დასაბუთებული იყო მთავრობის მეთაურის მიერ დამახასიათებელი ფრაზით—დასავლეთის იმპერიალიზმს უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე აღმოსავლეთის ფანატიზმსო. რაშია ამ ფორმულის ძირითადი აზრი? ნიშნავს თუ არა ის რევოლუციონერულ რუსეთისაგან გამიჯვნას და კონტრ-რევოლუციონერულ ევროპასთან დაკავშირებას? არის თუ არა ეს რევოლუციის და მუშათა კლასის საქმის ლაღატი? სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მეთაური დამუფუნებულ კრების ტრიბუნლიდან ბურჟუაზიული პარტიების სასიამოვნოთ აცხადებს საქვეყნოთ, რომ მას ურჩენია დასავლეთის იმპერიალიზმი, რასაკვირველია, მისი თვალსაზრისით, განათლებული იმპერიალიზმი, იმპერიალიზმი პატონ პუანკარესი, რომელიც აყვავებულ გერმანიას ნანგრევებათ აქცევს, რომელიც ნებას აძლევს შავკანიან კულტურეგლებს გააუპატიურონ გერმანიის რესპუბლიკის 80 წლის მოხუცი ქალები და 8 წლის ქალიშვილები, რომელიც სასამართლოს და გამოძიების გარეშე ხვრეტს ათეულ და ასეულ მუშებს, ან და იმპერიალიზმი კერზონის, რომელმაც სისხლის ზღვაში ჩაახრჩო ასეული და ათასი კეთილშობილი ირლანდიელები, რომელიც იბრძვიან თავის ხალხის თავისუფლების და ბედნიერებისათვის და ამოწყვეტა ათეული ათასი ინდოელები, რომელთაც გაბეღეს და ხმა აიმაღლეს თავის ხალხის განთავისუფლებისათვის განათლებულ ინგლისის უღელისაგან—აი, როგორი მშვენიერი იმპერიალიზმი ურჩენია ნ. ჟორდანისა „ბარბაროსულ რუსეთს“.

მთავარი ამ პოლიტიკაში იყო ორიენტაცია ბურჟუაზიაზე, ამ ძირითად მოსაზრებიდან კი გამომდინარეობდა ყველა დანარჩენი. ამ ორიენტაცია იძულება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ჩამოეხსნა სასახლიდან რევოლუციონერული წითელი დროშა, მიუხედავად იმისა, რომ ტფილისის მუშების უმრავლესობა და ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის უმრავლესობა წინააღმდეგ იყვენ ამ აქტის, მაგრამ საქართველოს მუშების ნებისყოფა და რევოლუციონერული სურვილი გათვლილი იქნა უორდროპის და „განათლებულ ევროპის“ სხვა წარმომადგენლების სურვილით და ნებისყოფით. რევოლუციონერული მიზნები და სინდისი დახურდავებულ იქნა საქართველოს იურიდიულ ცნობაზე. ეს ხომ მერტა ძვირფასი მონაპოვარია საერთაშორისო დამოკიდებულებათა სფეროში? მაგრამ რა იქნებოდა, რომ „მცირე ერთადამცველს“ ლორდ კერზონს უორდროპის პირით მოეთხოვა სოციალ-დემოკრატიულ მთავრობისაგან კონსტიტუციონერული მონარქიის გამოცხადება საქართველოში? როგორ შეხედავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა საქართველოს სახელმწიფოებრივობის სუვერენულ უფლებათა ამ უხეშ დარღვევას? უორდროპის მოთხოვნილება სასახლიდან წითელი დროშის ჩამოხსნის შესახებ ხომ უხეშ დარღვევა იყო საქართველოს ხალხის სუვერენიტეტის?

ამავე ორიენტაციამ დააყენა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა რევოლუციონერული ორგანიზების—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სრული ლიკვიდაციის ფაქტის წინაშე. აი, რას მოგვითხრობენ ამ საბჭოების შესახებ კონფერენციების მონაწილენი.—„პირველ ხანებში, ამბობს ალ ფარჩივით, აქ ხელახლა თავი იჩინა ჩვენმა რევოლუციონერმა მისწრაფებებმა, ჩვენმა რევოლუციონერმა სულმა. ეს გამოიხატა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწყობაში და ამა თუ იმ დადგენილებათა გამოტანაში. მაგრამ ამ საბჭოებმა შემდეგ სხვა ხასიათი მიიღეს, მათ დადგენილებებში გამოსქვივდა ჩვენი სურვილი ვმდარევიყავით რევოლუციონერ მონაპოვართა გამტყიცების გზაზე მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დახმარებით. მაგრამ თქვენ იცით იმ მრავალ საჩივრების შესახებ, რომელნიც შემოდიოდენ ამ საბჭოების წინააღმდეგ. და, აი, ეს საბჭოები თანდათანობით გაუქმდნენ...“ (იხ. იქვე, გვ. 53).

„მენშევიკებს, ამბობს პარტიის ძველი წევრი გნოევი, სულ სხვა სისტემა აქვთ მუშაობის, ვიდრე ბოლშევიკებს. როგორც კი შეიკრება დაფუძნებული კრება, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო დაშლილათ იქნა გამოცხადებული... კომიტეტებმა დაკარგეს ძალა-უფლება, მაგრამ ისინი მინც განაგრძობენ არსებობას მენშევიკების დროს. იმ დროს მოწყვეული იყო კომიტეტების ყრილობა მუშაობაში, რომელზედაც მე ვიცავდი ადგილობრივ კომიტეტების არსებობის აუცილებლობას, რისთვისაც მე დამსაჯეს და გადამტყიც კომიტეტის დიქტატორის ფიცხელაურის სრულ განკარგულებაში. (იხ. ყოფ. მენშევიკების, ტფ. რკინისგზის მუშების კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 8 და 9).

„რას ვხედავთ ჩვენ შემდეგ, კითხულობს მუშა ხოკრიაშვილი იმავე კონფერენციაზე, საბჭოები თანდათან სუსტდებიან. კრებები ხდება თვეში ერთხელ, წინათ ხდებოდა კვირაში ერთხელ, შემდეგ ნახევარ წელიწადში ერთხელ და, ბოლოს, საბჭოების ყრილობები სრულიად ქრება (იხ. იქვე, გვ. 20). მაგრამ ვის და ვისთან შეძლო ეჩივლა საბჭოების წინააღმდეგ? რასაკვირველია, უკმაყოფილო იყვენ ბურჟუაზიული პარტიები: უჩივიდენ სოციალისტურ მთავრობას ლორდ კერზონთან და მის აგენტებთან. და როგორი უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო ამ მომხიენების (ბურჟუაზიულ პარტიების) ხვედრი წონა ჩვენს ქვეყანაში, მათ მაინც მოახერხეს გადაწყვეტილ მდგომარეობა დაეჭირათ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში

გამოაცხადა რა სამოქალაქო ზავის პოლიტიკა და შემოიკრიბა რა თავის დროის გარშემო ქვეყნის ეგრეთ წოდებული ცოცხალი ძალები, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაკარგა რევოლიუციონურათ გაწყობილი მუშების დახმარება. და ჩვენ ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დიქტატურის დროს ვხედავთ ამ პარტიის დაშლის აშკარა ნიშნებს. ყოველ შემთხვევაში, პარტიის მუშათა მასა არა თუ იზიარებს თავის მთავრობის საერთო პოლიტიკის ძირითად ხაზს, არამედ ააშკარავებს უკმაყოფილების ელემენტებს.

„თეთიელი მუშა ცალკალკე, ამბობს იგივე ზოკრიაშვილი, უკმაყოფილო იყო (ლაპარაკია პოლიტიკაზე საბჭოების მიმართ), თეთიელი რღაცას ბუტბუტობდა, მაგრამ ვერაინ ვერ ბედავდა ეს უკმაყოფილება გარეთ გამოეტანა. (იხ. იქვე, გვ. 20).

ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი გნოევი გადაცემული იყო მაქ. ფიციხელაურის განკარგულებაში იმისათვის, რომ მან გაებდა და მოითხოვა ადგილკომების შენარჩუნება.

„... 1919 წელში მე გამოვედი სოც.-დემ. მუშ. პარტიის რიგებიდან, ამბობს პარტიის წევრი წითელიშვილი... მე დავტოვე პარტია, რადგან მე ვამჩნევდი უკმაყოფილებას, რომელიც უკვე იყო გაშუქებული ზოგიერთ ამხანაგების მიერ. მე გამოვედი პარტიიდან, დავრჩი პარტიის გარეშე.“ (იხ. ყოფ. მენშევიკების ტფილ. საერთო საქალაქო კონფერენც. სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 74). ქვედა ფენების ეს უკმაყოფილება მმართველ წრეების წინააღმდეგ კიდევ უფრო რელიგიურათ გამოაშკარავდა პარტიული ორგანიზაციების დადგენილებებში სასახლიდან წითელი დროშის მოხსნის საკითხში.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია თვით პარტიის შიგნით მუშათა ოპოზიციის არსებობის ფაქტი; ეს ოპოზიცია სცდება საკუთარ ორგანოს „პირველ ნაბიჯს“—შემდეგ „პროლეტარიატს“ (სხვათა შორის, მასში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ბოლშევიკებიც). აი, რას მოგვითხრობს ამ ოპოზიციის შესახებ ერთერთი მისი ხელმძღვანელი, „ჩვენში არსებობდა მუშათა ერთი ჯგუფი, რომელიც სცემდა უფრო ნალს „პირველ ნაბიჯს“... 1917 წელში, ოქტომბრის რევოლიუციის მეორე თვეზე, ჩვენ მოვაწყეთ ქალაქის გამგეობაში მენშევიკ მუშების კრება, რომელზედაც დადგენილი იყო, რომ რა დაგვეშვა კრებაზე არც ერთი ინტელიგენტი. არ გვინდოდა ჩვენ გვეთქვა ამ დადგენილებით? ჩვენ ვთქვით: „ვინაიდან ჩვენი გამიჯვნა გვაშორებს ჩვენ პროლეტარიატის მთლიან ოჯახს, რომელთანაც შეზრდიდა შეკავშირებული ვართ ჩვენ, რომლის ბედნიერებას და უბედურებას ჩვენ ვთვლით საკუთარ ბედნიერებათ და უბედურებათ, ჩვენ ვფიქრობთ დავადგინოთ ასეთ გზას... ამ კრებაზე ჩვენ დავადგინეთ წინადადება მიგვეცა ბოლშევიკ-მუშებისათვის, რომ მათ მოეწვიათ კრება, რომელსაც არ უნდა დასწრებოდა ინტელიგენცია; ჩვენ გვქონდა საერთო ინტერესები და უინტელიგენციოთაც შეგვეძლო შეერთება და

მოქმედების გეგმის გამომუშავება, რომელიც მიგვიყვანდა ჩვენ საბოლო მიზანძღი. ასეთი იყო ჩვენი ამოცანა, ეს ავაცილებდა ჩვენ დაქსაქსვას და საშუალებას მოგვეცემა **დავრჩენილიყავით ერთ რაზმში, ერთ რიგებში.** (იხ. ყოფ. მენშეგ. ტფილ. საერთო საქალაქო კონფერ. სტენოგრაფ. ანგარიში, გვ 63—64).

ეს დადგენილება მეტათ დამახასიათებელია ოქტომბრის რევოლიუციის მეორე თვეზე, როდესაც განსხვავების ძირითადი ხაზი ბოლშევიკებისა და მენშევიკებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდებოდა, სწორედ მაშინ—მენშევიკურ ციხის შუა ვულში, ტფილისში, ქალაქის გამგეობის შენობაში იკრიბებიან მენშევიკ-მუშები გარკვეული ამოცანით—**„შეერთება (ბოლშევიკებთან) და მოქმედების გეგმის გამომუშავება, რომელიც მიგვიყვანდა ჩვენ საბოლოო მიზანძღი.“** იყო თუ არა ეს უნდობლობის ვოკატი მენშევიკურ პარტიის ცეკას მიმართ? არის თუ არა მარტო ამ ფაქტში პარტიის დაშლის უტყუარი ელემენტები?

ხდება თუ არა ამ ეპოქაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დაშლის ანალოგიური პროცესი გერმანიაში? და თუ ეს მოძრაობა არ იყო მაშინ ჩამოყალიბებული, ამაში დამნაშავეა ის ტერორი, რომელსაც განიცდიდნენ მუშათა მასები პარტიის მმართველ წრეების მხრივ.

(შემდეგი იქნება).

ქსნელი



სამხედრო სამსახურის პირგანნი ტარიხტორიკულ დივიზიის ნაწილგეში.

საბჭოთა რესპუბლიკების მიერ უკვე გადაღმულია ნაბიჯები შეიარაღებული ძალთა ახალ სისტემაზე შექმნისათვის. რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში უკვე დაარსებულია ტერიტორიალური დივიზიები და ჩამოყალიბებულია მათი ორგანიზაციები.

ტერიტორიალურ დივიზიის ყოველი ნაწილი უნდა შესდგებოდეს ძირითად (მუდმივ) და ცვალებად შემადგენლობისაგან, ცვალებადი შემადგენლობა სამსახურში ოთხი წლის განმავლობაში, ხანგამოშვებით, უნდა იმყოფებოდეს, ძირითადი შემადგენლობა კი წარმოადგენს მუდმივ კონტიგენტს, რომელიც იმავე პირობებში იმსახურებს, როგორც მუდმივ ჯარის დივიზიების შემადგენლობა. ვინაიდან თანამედროვე სამხედრო ტენიკა მოითხოვს დიდ დროს მის შესასწავლათ და სპეციალ ჯარში განსაკუთრებული სამსახურის თვისება იმ გვარია, რომ მოკლე ვადაში შეუძლებელია მისი სავსებით გაცნობა, დებულების პროექტის თანახმად, სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს შეუძლია შესცვალოს ესა თუ ის ვადა სამსახურისა.

ტერიტორიალურ ნაწილების სათანადო სიმალეზე დაყენებისათვის სწავლა აღზრდის მხრივ, საჭიროა რომ ამ ნაწილების ძირითადი შემადგენლობა საუკეთესოთ იყოს გაწვრთნილი სამხედრო ხელოვნებაში და, ამას გარდა, იგი დიდის სიფრთხილით უნდა იყოს შერ-

ჩეული. ძირითადი შემადგენლობა სამსახურს იმავე საფუძველზედ ეწყება, როგორთაც მუდმივ წითელ-არმიის შემადგენლობა. ამ ეპოქაში, პირველ ხანებში ტერიტორიალურ დივიზიის ნაწილები ცვალებად შემადგენლობაში სამხედრო სამსახურში ნამსახური მოქალაქენი, იქნებიან გაწვეულნი, მომავალში კი ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც ჯარში გაწვევამდე მთვის სამხედრო მომზადება ექნება მიღებული უამისოთ იგინი არ ჩიირიცებიან ცვალებად შედგენილებაში.

ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შედგენილებაში ჩირიცხული სამხედრო ვალდებული მოქალაქენი ემორჩილებიან ნაწილები-სათვის დაწესებულ წესრიგს. იგინი მოვალენი არიან გამოცხადდნენ სამხედრო უწყების მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ აღრიცხვაზედ, სამედიცინო შემოწმებაზედ, სწავლებაზედ, სხვა და სხვა შეკრებაზედ და სხვა. ცვალებად შედგენილებაში ჩირიცხული მოქალაქე ოთხი წლის განმავლობაში არა უმეტეს ხუთი თვისას იმსახურებს, და ყოველ ცალკე წელიწადში არა უმეტეს ორი თვისა.

საბჭოთა რესპუბლიკებს, დაუსახავთ რა მიზნათ მოქალაქეთა მშვიდობიან შრომის უზრუნველყოფა და რესპუბლიკების თავდაცვის უნარიანობის ამაღლება-წარმატება, ამავე დროს მიღებული აქვთ მხედველობაში ჯარში გაწვეულთა ყოფა-ცხოვრება: ყოველ-გაწვეულ სამხედრო ვალდებულ მოქალაქეს, ცვალებად შედგენილებაში ყოფნისას, სწავლებისა და შეკრების ხანაში, სამსახურისა და სამუშაო ადგილი ენახება. დაწესებულებანი და სარეზერვები, სადაც სამხედრო ვალდებული მოქალაქენი მსახურებენ, სწავლებაზედ და შეკრებაზედ გაწვევისას მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ იგინი. ცვალებად შედგენილების შევსებისა და შეკრების უზრუნველსაყოფათ, არც ერთ სამხედრო-ვალდებულ მოქალაქეს არ უნდა ჰქონდეს უფლება სამხედრო უფროსების ნება დაურთველად დასტოვოს თავისი ნაწილის შესავსები რაიონი. ის მოქალაქენი, რომელთაც სამხედრო მომზადება საერთო წესით არ მიუღიათ, სტრუქტურის თვის დივიზიის რაიონის და სხვა საცხოვრებელ ბინაზედ გადადიან, იგინი სამხედრო სამსახურის არ მოხდილთა რიცხვში გადარიცებიან და მოვალენი იქნებიან მუდმივ ჯარში მოიხადონ სამხედრო სამსახური საერთო წესით. ცვალებად შედგენილებაში სამსახურის მოხდის შემდეგ, მოქალაქენი ჯარის მარქაფში გადაირიცებიან და ომიანობის დროს: ან ლაშქროსან, ან მუდმივ ჯარის ნაწილებში შესავსებათ გამწესდებიან.

ვინაიდან მუდმივ ჯარში სამსახური უფრო სამძიმოა, ვიდრე ტერიტორიალურ ნაწილებში, ამიტომ მუდმივ ჯარში მოსამსახურე მოქალაქეთ სამსახურის მოხდის შემდეგ-შეღავათი იძლევათ. მუდმივ ჯარში ნაკლებ მოქალაქეებს მარქაფში ყოფნის ვადა უმოკლდებათ წელიწადით, ჯარში ყოფნის ყოველ წელიწადისათვის.

ჯარის საერთო წესით შეკრებისას, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილება იმავე ენაყოფაზედ იმყოფება, როგორა-

თაც მუდმივ წითელ—არმიის რიგებში სამხედრო მოსამსახურენი.

საერთოთ აღნიშნულია, რომ სამხედრო სამსახურში მყოფთ ერთგვარი სიყვარული ენერგებით გულში იმ ნაწილისადმი, სადაც მათ სამხედრო აღზრდა და მომზადება მიუღიათ. ესეც მხედველობაში მიიღებულ დეკრეტში და ცვლებად შედგენილებას, სწავლებისა და შეკრებისაგან თავისუფალ დროს, უფლებმა აქვთ საკუთარ ნაწილის ფორმის ტარებისა, მხოლოდ, რასაკვირველია, საკუთარი ხარჯზედ უნდა შეიქრონ. იმიანობის გარემოებით გამოწვეულ მობილიზაციის გამოცხადებამდე ყოველი დაწესებულებანი და სარეწავნი მოვლენი არიან მოკლე ვადაში გაანთავისუფლონ ცვალებად შედგენილებამში მყოფი მოქალაქენი სამსახურისაგან და სამუშაოსაგან და იმავე ვადაში ანგარიში გაუსწორონ.

16—18 წლის ჰასაკის მოქალაქეებმა უნდა წინასწარი სამხედრო მომზადება გაიარონ. ეს მომზადება უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდობის ფიზიკურ და სამხედრო პირველდაწყებით აღზრდას, რაც უნდა სწარმოებდეს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობით და სამოქალაქო ორგანიზაციათა საშუალებით. ამ სამი წლის განმავლობაში სამხედრო უწყებას უფ-

ლება ეძლევა ჯარის გარეშე მაცადინობაზედ გაიწვიოს ახალგაზრდობა—არა უმეტეს ოთხი კვირის ვადით.

19 წლის ჰასაკიდან და გაწვევამდე ერთის წლის წინ, მოქალაქენი მოვალენი არიან გაიარონ გაწვევამდე სამხედრო მომზადების კურსი, რაც უნდა საერთოდ 10 კვირაზედ მეტს არ უნდა გრძელდებოდეს და ყოველ გაწვევაზედ არა უმეტეს 4 კვირისა. წითელ-არმიის მარჯაფში მყოფი სამხედრო სამსახურში ნამსახური მოქალაქენი განმეორებულ სწავლებაზედ, სამხედრო უწყების აღრიცხვაზედ ყოფნის განმავლობაში, სამჯერ გაიწვევიან და, ყოველ გაწვევაზედ, არა უმეტეს ერთი თვისა, სახელმწიფოს ხარჯზედ იმყოფებიან მხოლოდ ისინი, ვინც სამხედრო სწავლებას ჯარების ნაწილებში გადის.

როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოქალაქეთა, ისე კერძო დაწესებულებებში და სარეწავნი მოსამსახურეთ, სამხედრო სწავლების გავლის დროს, რაც მათ სამსახურის ადგილის მიხედვით და თანამდებობით ჯამაგირს ღებულობდენ გაწვევამდე, სრულიად ენახებათ.

გ. ბარნაბიშვილი.

ძველი დროის მიმდევრებსა, დაატება თავზე მეტი. ოცდა ოთხსაც თან მოველით, ის მოგვიტანს განათლებას, მომავლისას აყვავებს, და ამწყობს გამარჯვებას. განვილო წლებს ის აჯობებს, გავაცივებს, გავცხარებს, მუშისა და გლეხის ნანატრს, უნაკლულად ჩავვაბარებს. ჩვენც მივიღებთ მასპინძლორად, გადაუშლით უხვთ გულსა. წითელ ვაშლით დავაბერებთ, მიულოცავთ ტბილულსა.

გ. შინატხელი.

30 აპრილს.

ვერ აგზორდით დღის სიხადეს, ასეც უნდა მომხდარიყო; აბა, როგორ დაუშვებდა, ძმა ძმისთვის არ გამხდარიყო.

დღეს დიადი აქტი მოხდა ორი ძმისა შვამერთი, დაივიწყეს მათ წარსული და შეერთდენ, როგორც ერთი. ამას უკეთს რას მოისმენს, გული მწარედ ანაცნებია უნდა ვითხრათ „შეგუება“ არის, ძმებო, უკეთესი.

ს—ელი.

არ შემიძლია გავჩუმდე.

ანგარიში არ გაუწიეს 12 ათას ძველ რევოლუციონერებს, ძველ მუშებს, არაფრით ჩააგდეს შათი ნაბიჯი. ორიოდ გამარტოებულმა, თავიდან ხელ-აღებულებმა, მოგვიკლეს ილ. გიორგაძე. ცოცხალიც და კვდარიც დაგვიკარგეს ამხ. დობორჯგინიძე. ცხადია ერთი რამრომ აქ თუ არ ედვა პოლიტიკური სარჩული ჯალათურ გამოსვლას, კერძო ინტერესით არეინ მოკლავდა ილ. გიორგაძეს და ს. დობორჯგინიძეს. ამ შემთხვევის რამოდენიმე დღის შემდეგ ვკითხულობ „Рабий. правда-ში“ მოწინავე წეროლს, მოუკალიც ჯალათებს ვილაკ ყოფილი მწეშვეკი, საგარეჯოვანი, ქაიხოსრო-შვილი ტურასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ქალაქის კონფერენციაზე. რა უნდა ასეთი გამოსვლით იმ უბედურებს, რომლებიც ამას სჩადიან?

რწმენის უარყოფა ტყვიით შეიძლება? 12 ათასი მუშა არას დროს არ შეხვდება ასეთ მოვლენას გულზე ხელდაკრეფილი. ის ელოდება სათავეს, მის კარნახს და ხელმძღვანელობას. და თუ არ იქნა შესაფერი ზომები მიღებული, ჩვენ მხოლოდ ვართ ძველი აქტიური მუშები, რომ მტერს ერთი ოცად ვადაუხადლოთ. ფრთხილად, აზნაწაგებო, ჩვენს სადარაჯოზე და მტერი ვერაფერს დაგვაკლებს. ჩვენ არ ვართ, ქურდები, არც ჩოლოყაშვილის მიმდევრები. ჩვენშა პროლეტარული პოლიტიკური რწმენა და ეს რწმენა უკვდავი დარჩება მუდამ. მაჟურისტებს, მაჟურებით უპასუხებთ.

მუშა ც. ძე.

მუშათა წერილები

1914—1924 წ.წ. *)

ათას ცხრაას თითხმეტ წელში, სისხლის ტბორე დააყენა. მისს საზიზარას მოქმედებას ვერ გამოსთქვამს კაცის ენა. გრდემლზე შესწყდა კვირის ცემა, შეაჩერა ქურამ ქმენა. ცეცხლის ალში დიმილა, დაბლით მიწა, მადლით ზეცა. გლეხი გუთანს დაეთხოვა, დადგა ქარხნის მანქანები, ცაზედ ხმალიმ გაიელვა ახმაურდნენ ზარბაზნები. სისხლის წვიმა მიდიოდა, აღარ ჩანდა მზისა დარი. ზღვამ ჩანთქა და მტერმა ზიდა, მშრომელ ხალხის მონაგარი. დედის ცრემლი მიწოდოს რწყავდა, შორს ისმოდა მამის კენესა, წყევლა, კრულვა იმ მტარვალებს, ვინც რომ იმი დააწესა. მეფე კი ზეიმობდა, მისცემოდა მშვიდათ ლხინსა. დედოფალიც სულს უტკობდა თავის დევის მლოცვე რასპუტინსა. ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელში, მეფის ტახტი შეანძრია. სამასი წლის ნაშენები სულ ერთ დღეში დაანგრია. თვრამეტ წელში დააშორა ყველა ერებს საქართველ!

ოცამდისინ იპოტინა ვერ გააპო თავის ლელო. ფეოლდები ფარფაშობდნენ, მუშებისთვის არეინ სწულდა. სოციალიზმს უღალატეს! მისთვის მალე ვადაზრუნდა. ათას ცხრაას ოცდა ერთმა, ყველა ერი შეაერთა. ბურჟუები ძირს დაამხო, პრილეტარი გააღმერთა. ვაჭრებსა და სპეკულიანტებს, ყველას დედა აუტერა, ყელში თოკი მოუჭირა, აღარ მისცა გასაქანი. დუქნები სულ შუა გაუყო, შემშცირა სიღრმე-განი. ოცდა ორმა ტყის ბანდები, სულ ჩეკაში ჩამორეკა, ეკლესია ვადარაზა, მღღღები გარეთ გამორეკა. რესპუბლიკის გამყიდველებს ზედ სიკვდილი დააწერა. ბნელ ღამეში თითო თითოს, ცხელი ტყვია დააკერა. ფესვიანად ვადაგვარა უვარგისი ძველი წესი, თანასწორად აღიარა კაცისა და ქალთა სქესი, ოცდა სამსაც არა უშავს, შეასრულა მარქსის მცენება. ქვეყნის მელეფავ გაიძვრებს, ჩამოართვა საკუთრება. ერთმანეთზე ვადახაბართა, ქარხნის მუშა, სოფლის გლეხი.

*) ეს ლექსი სახალალო ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ დაგვიანდა ტექნიკური მიზეზების გამო.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე).

წარსულ კვირას საერთაშორისო პოლიტიკაში მოხდა ფრიად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი, ეს არის ინგლისში მუშათა პარტიის მთავრობის შედგენა.

რასაკვირველია, იმ არჩევნების შემდეგ, რომელიც ინგლისში უკანასკნელ ხანებში მოხდა და რომელშიაც კონსერვატორები სასტიკად დამარცხდნენ, არავისთვის არ იყო მოულოდნელი ბალდვინის კაბინეტის გადადგომა.

და ეს მოხდა. ბალდვინი გადადგა. აი როგორ მოხდა ბალდვინის გადადგომა დეკემბრის ცნობით:

21 იანვარი. დებატები პარლამენტში დასრულდა 21 იანვარს ღამის თერთმეტ საათზე. სპიკერმა წაიკითხა მუშათა პარტიის შესწორება ბალდვინის კაბინეტისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

კენჭის ყრა 15 წუთს გაგრძელდა. შესწორებას ხმა მისცა 328-მ, წინააღმდეგ 250 მა.

ბალდვინის კაბინეტი გადაყენებული იქნა 72 ხმის უმრავლესობით.

351 ხმით 250-ის წინააღმდეგ მიღებული იქნა დადგენილება პარლამენტის სხდომის გადადების შესახებ.

22 იანვარს შუადღეზე ბალდვინმა განუცხადა მეფეს კაბინეტის გადადგომის შესახებ.

ბალდვინმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. მაკდონალდმა განაცხადა თანხმობა კაბინეტის შედგენაზე.

23 იანვარი. შუადღისას მეფემ მიიღო მაკდონალდი, რომელსაც თან ახლდა ტომასი, კლაინსი და ჰენდერსონი, მისი მთავარი თანამშრომლები. მეფემ წინადადება მისცა მაკდონალდს შეადგინოს მთავრობა და მუშების ლიდერმა თანხმობა განაცხადა ამაზე, ამის შემდეგ მაკდონალდმა ფიცა დასდო როგორც საიდუმლო საბჭოს წევრმა. საუბარი ერთს საათს გაგრძელდა.

23 იანვარი. ბალდვინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა გადადგა და დაუმატა, რომ ყველა მინისტრები დარჩებიან თავიანთ ადგილზე ახალი მინისტრების დანიშვნამდე.

ბალდვინმა შემოიტანა წინადადება პალატის სხდომის შეწყვეტის შესახებ 12 თებერვლამდე. მან აღნიშნა, რომ ეს წინადადება წარმოდგენილია ახალ მთავრობასთან შეთანხმებით.

წინადადება მიღებული იქნა. თემთა პალატის სხდომები შესწყდა.

მუშათა კაბინეტის შემადგენლობა. 23 იანვარი. საღამოს ხუთს საათზე მაკდონალდმა ხელმოწერით ინახულა მეფე, რომელმაც მოიწონა მთავრობის შემადგენლობის სია.

მთავრობაში შედიან: რამსეი მაკდონალდი — პრემიერი, ზაზინის პირველი ლორდი და საგარეო საქმეთა მინისტრი; კლაინსი — ლორდი — შემნახველი პატარა სახელმწიფო ბეჭედის, დეპუტატი და პარტიის ლიდერა თემთა პა-

ლატაში; ლორდ პარმუტი — საბჭოს თავმჯდომარე — ლორდი; ვიკონტ გალდენი — ლორდი — კანცლერი; ფილიპ სნოუდენი — ზაზინის კანცლერი; ჰენდერსონი — შინაგან საქმეთა მინისტრი; ტომასი კოლონიების მინისტრი, სტუვან ფელში — სამხედრო მინისტრი; სერ სინდნეი ოლივერი — ინდოეთის მინისტრი გენერალი ტომსონი — ავიაციის მინისტრი, ვიკონტ ჩელმფორდი — საზღვაო სამართველოს პირველი ლორდი; სინდნეი ევბი — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; უაიტლი — სახალხო ჯანმრთელობის მინისტრი; ნოელ ბესტონი — მიწა და მოქმედობის მინისტრი; ადამსონი — შოტლანდიის საქმეთა მინისტრი; ტრიკლანი — სახალხო განათლების მინისტრი; ტომას შოუ — შრომის მინისტრი; ვერნონ დარნბორნი — ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორი. ფიფტი — შრომის კომისარი.

22 იანვარს მაკდონალდმა წარმოსთქვა სიტყვა.

თავის სიტყვაში რამზეი მაკდონალდმა სთქვა „თემთა პალატამ გადასდგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც მისი რწმენითა და იმედით, ინგლისის ისტორიაში აღინიშნება, როგორც ნაბიჯი გადადგმული სიკეთისაკენ“. საგარეო პოლიტიკაში მაკდონალდს შესაძლებლად მიაჩნია მდგომარეობის დაუმჯობესობა, თუმცა ამავე დროს აცხადებს, რომ ამ გაუმჯობესობის უმთავრესი მიზეზი იქნება ინგლისის მთავრობის შეცვლა.

რაც შეეხება სოციალიზმით გამოწვეულ შიშს, მაკდონალდი აცხადებს, რომ რაც უნდა კარგად იყოს დასაბუთებული ეს შიში, მისი პარტია ყოველ დღეს იხმარს, რომ გაუფანტოს და მოსპოს ასეთი შიში.

როგორია პრესის აზრი? ბერლინის პრესა დეტალურად ეხება ინგლისში მომხდარ ცვლილებას, მაგრამ თავს „იკერს ამ ცვლილების გამო საგარეო პოლიტიკაში მოსალოდნელ პერსპექტივების დაფასებისაკენ.

მიუხედავად ამისა, პრესაში გაკვრით მაინც ექვს გამოსთქვამენ იმაზე — შესძლებს თუ არა ინგლისის ახალი მთავრობა ინგლისის ძველი გავლენის აღდგენას საფრანგეთზე.

„ბერლინერ ტაგებლატი“ მაკდონალდის პრემიერით დანიშვნას, ინგლისის დემოკრატიზაციის უდაყო ფაქტით სთვლის.

ასეთივე აზრს გამოთქვამს „ფოსტალზე ცვიტუნგი“ც, რომელიც მიუთითებს, რომ მაკდონალდის მთავრობა არ იქნება მუშური მთავრობა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მაგრამ, თუ მაკდონალდის პოლიტიკა არ იქნება გამსჭვალული წმინდა სოციალისტური სულით, ის მაინც შეეცდება გაატაროს სოციალისტური იდეები და სინდისიერათ მიიღებს ზომებს ვერსალის ხელშეკრულების ნამდვილი საზავო ხელშეკრულებად გადასაქცევად.

ჩვენ ვეჭვობთ, რომ ინგლისის მუშათა მთავრობა არ არის, და არც იქნება წმინდა, ნამდვილი მუშური მთავრობა, ის ვერ განა-

ხორციელებს თავის პროგრამის მინიმუმსაც კი, ამიტომაც, რომ მის ძალაუფლებასთან მისვლას დამშვიდებულად ხედება ბურჟუაზია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინგლისში მუშათა პარტიის მთავრობის შედგენას უაღრესად დიდი საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების მარცხნივ გადახრა ეს დიდი ღვაწლია საერთაშორისო რევოლუციის გულში ჩასობილი. ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელ წელში, წარსულ 23 წ. მეტად გათამამდა რევოლუცია. იტალიაში ფაშისმმა ჩაიდლო ძალა-უფლება ხელში და ჩაჭკლა, შეანგლო მუშათა მოძრაობა, ბულგარეთში შეემა ძალამ გაიმარჯვა, გერმანიაში მონარქისტებმა პიტლერის მეთაურობით სცადეს ძალა-უფლების ხელში ჩავდება, საფრანგეთში პარპაშობს პუანკარე — ომი, რომელიც გერმანიას რევოლუციას ეკენ უჯიკავება და სხვ. აი ასეთ პირობებში ინგლისში მომხდარ პოლიტიკური ცვლილებებს ფრიად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მართალია ინგლისის დიდი მოქმედებები ყავს ამერიკის და საფრანგეთის მხრივ, მაგრამ, ჩემის აზრით, ჯერ-ჯერობით ინგლისის მაინც უჭირავს მსოფლიო პოლიტიკის დირიჟორის ჯოხი და დიდ და პატარა სახელმწიფოებს ის აძლევს ტონს. ეს აშკარაა.

აშკარაა ისიც, რომ ინგლისში მუშათა მთავრობის გაბატონებით ჭაჭა მოტყუდა საერთაშორისო რევოლუციას.


საგარეო პოლიტიკაში ინგლისის მუშათა მთავრობა უსათუოდ გადადგამს ერთ დიდ მნიშვნელოვან ნაბიჯს მაინც. ეს ნაბიჯი უთუოდ საბჭოთა კავშირის ცნობა იქნება. ამ ცნობას საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი დღედღეზე მოელის ინგლისის მუშათა მთავრობისაგან, რომლის წევრებს მთავრობაში არ ყოფნის დროს არა ერთხელ გამოუთქვამთ დადებითი აზრი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ და ახლა მათ საშვალეობა ეძლევათ თავიანთი აზრი საქმედ აქციონ — ოფიციალური ხასიათი მისცენ.

საინტერესოა აგრეთვე მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკა საფრანგეთის მიმართ. ჩვენ ვეჭვობთ, რომ ის შესძლებს საფრანგეთის იმპერიალისტური მადის შეკვეცას და გერმანიას ცოტა მაინც მოეშვება. ამერიკიდან ჰუანკარე აღბათ ისე ვერ იპარპაშებს, როგორც დღემდე.

საერთოდ რანაირი „ზომიერ და გონიერ“ ფარგლებში არ იმუშაოს მაკდონალდის მთავრობამ, მას მაინც დიდი გავლენა ექნება საერთაშორისო პოლიტიკის მარცხნივ გადახრაში.

წარსული კვირა გლოვის კვირა შეიქნა... 21 იანვარი შავდ გაუთენდა მსოფლიო მუშათა კლასს.

ლენინი მოკვდა, ლენინი... ყველა ქვეყნის მუშებისათვის საყვარელი... ძვირფასი... წინამძღოლი... გლოვის ზარმა ჩამორეკა ყველგან... შავი ძაძით შეიმოსა საბჭოთა ფედერაცია... ყველგან გლოვა... ყველგან ვაი და ვიშო, ურვა... აი როგორი იყო წარსული კვირა...



წერილები პროვინციიდან

მ. ბ ა თ ო მ ი.

(ილ. გიორგაძის მოკვლის გამო).

დღევანდის ბოლო რიცხვებში მენშევიკური ტერორის მსხვერპლი გახდა ძველი რევოლუციონერი, სოციალიზმისთვის თავდადებული მუშა ილარიონ გიორგაძე. რათ დასჯიდათ მენშევიკებს ასეთი უკიდურესი გზა იმ ამხანაგების წინააღმდეგ, რომელნიც სრული შეგნებით და რევოლუციონერული სინდისის პასუხისმგებლობის ქვეშ სტოვებენ ძველ პარტიას და იზიარებენ ყოფილ მენშევიკთა მსოფლმხედველობას? ექვს ვარუშა, იმითომ რომ ამითი შეჩერებით ის ისტორიული დაშლა, რომელსაც განიცდის ოდესღაც ძლიერი პარტია. რეგრ განა შეიძლება იდიის წინააღმდეგ მათხერებით ბრძოლა? ჩვენ ყველანი ვხედვართ ამ ტერორის შედეგებს, თუ ვინმე პარტიოსანი და ქეშმარიტი მარქსისტი იყო დარჩენილი ავგისტოს შემდეგ მენშევიკურ პარტიაში, ამხ. ილარიონზე მხეკურმა თავდასხმამ, ისინიც გამოაფხიზლა, დაგმეს და უკუაგდეს ის შემცდარი ხაზი, რომელზედაც უკანასკნელად დგას არალეგალური ცეკა და ჩვენი პლატფორმა გაიზიარეს.

რა გასაკვირიალია თუ ყოველივე ამის შემდეგ პარტიოსანი მებრძოლნი ხომერკის პარტიაში არ დარჩებოდა. ამნაირი იდეური გარდატეხისათვის ხომერკის პარტიამ შემოიღო ტერორი და ორი მსხვერპლი ილ. გიორგაძე და ქაიხოსროშვილი გლხეი კოპაბერატორი უკვე შეიწირა. ჩვენ მიზნათ გვაქვს დასახული მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შექმნა.

ჩვენდა სამწუხაროდ მენშევიკური ცეკა არ უწევს ანგარიშს არც მარქსიზმს, არც რევოლუციას და კიდევ, მეტი არც ქართველ მშრომელი ხალხის ინტერესებს;—ის ტერორისტული აქტებით განადგურებას უქადის ქართველ ხალხს, რადგან იცის, რომ ამხ. ილარიონის მკვლელობა უშედეგოდ არ ჩაივლის, რაც გამოიწვევს სულიერ და ფიზიკურ განცდას ქართველი ხალხისას.

ქალაქ ბათუმის ყოფილი მენშევიკები და ახალგაზრდა მარქსისტები აღშფოთებული ვართ მენშევიკების თეთრ ტერორის შემოღებით და ვაცხადებთ მთელი მუშათა კლასის და ერის წინაშე, რომ ყოველგვარ შედეგებისათვის პასუხისმგებელი იქნება ხომერკის პარტია. ჩვენ პასუხისმგებლობას ვიხსნივთ, რომ მათი პოლიტიკით ცუდი შედეგი ეწვიოს ქართველ ხალხს, თანახმა საგანგებო კომისიის დადგენილებისას.

ჩვენ სწორს-მარქსისტულ, რევოლუციონერ გზას ვერ გადაგვახვედნივს ვერც ბერი, ვერც შავი რეპუტია.

ჩვენ მივდივართ ხალი გრძობით ხალხის სახედნიერო საქმისკენ.

ზიზლი მათ, ვინც წინ გადავგელობება და მოინდომებს ხელის შემშლას მთლიან ფრონტის აღსადგენათ.

ბათუმის ყოფილი მენშევიკების და ახალგაზრდა მარქსისტების მონდობილობით კალენიკე ვოგობერიძე.

ხმა პროვინციიდან

ყველასათვის ცხადია, რომ პროვინცია ჩამორჩენილი და მივიწყებულია, ასე იყო წინედ, ასეა დღესაც. მაგრამ ეს ფაქტი სრულებით გულს არ გვიტეხს პროვინციელ ამხანაგებს, ვიმედოვნებთ, რომ „სიმართლის ხმა“ ჩვენამდისაც მოაწვეს და ჩვენს მივიწყებულ გულშიც ჩაიხედავს და კარგ მომავლისკენ გავაქანებს; დღეს კი მივიწყებული ვართ, მივიწყებული და ჩვენს წინ სვლას, მდგომარეობას დიდი უძრავი ლოდი აწევს და მის გადაგორებას არავინ არ სცდლობს, არავის არ უნდა ყურადღება ათხოვოს.

უმეტეს პროვინციელ ამხანაგებისას გული აცრუებია 15—30 ავგისტოზე კი არა, მთელ თავის წარსულზე; რალაც ინდიფერენტიზმს შეუპყრია და არ ფიქრობს მომავალზე, მის გულს არ ეხება აღარაფერი და ხშირად ვაიგონებთ ხოლმე: „გული გამიცივდაო“, მაგრამ ეს ყოველივე დროთა მსვლელობის მიზეზია და მას კიდევ დრო წაიღებს, გაანიავებს.

წარმოდგინეთ ის აღამიანი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ნიკოლოზის რეემის დასამხსნერე ბრძოლაში გაუტარებია, ციხე, ციმიბირი, ათსავჯარი ტანჯვა წამება და მთელი თავისი „მე“ მომავლისთვის შეუწირავს და დღეს კი გაიძახის: „გული გამიცივდა, ჩემში მოკვდა ყოველივე“—ო!.

ბევრი ჩვენი ამხანაგები განხე დვანან „გულ გაცივებულნი“. ისინი თანდათანობით ძალა უნებურად იხედებიან უკან, უკვირდებიან თავიანთ წასულს, ანგარიშს უწევენ აწმყოს და ეძებენ გამოსავალს.

ეხლა ორიოდე სიტყვა ვთქვით იმ ამხანაგებზე, ვინც უკვე აღიმადლა ხმა და გულწრფელად უარყო თავისი პარტიული საქმიანობა და საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმა აღიარა, ვინც, ასე ვთქვათ, კომუნისტური პარტიის კარებს დაუკაქუნა, მაგრამ მისი ხმა დარჩა ხმათა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა, ეხლა კითხვა ისმის: სანამ უნდა იჯდეს ის ზღვის პირად და უცდიდეს ამინდს; ვინ იცის ლოდინით გულ გატეხილს საითკენ გააქანებს უღმობელი ბედის წერა და ის უდიდესი აქტი, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში აღვლით ქონდა 25—30 ავგისტოს, ჩვენდა სამწუხაროდ, ხორც შეუსხმელი დარჩეს.

საჭიროა მეტი გულთბილობა, გამჭრიახობა და სათანადო მოპყრობა იმ პირებისადმი, რომლებმაც დაადგინეს სალიკვიდაცია ყრი-

ლობაზე, რომ არავითარ ცალკე ორგანიზაციას არ ექმნით, უერთდებით სრულიად კომპარტიის პროგრამას და ვლგებთ კომინტერნის დროშის ქვეშაო,

სოფლელი.

ქ რ ო ნ ი კ ა

◆ 21 იანვარს საღამოს 6 ს. 50 წ. გორკაში, მოსკოვის მახლობლად გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლი ვლადიმერ ილიაძე-ლენინი.

◆ ლენინის სიკვდილმა თფილისში და მთელ საბჭოთა ფედერაციაში გამოიწვია უღრმესი მწუხარება და უკრა. თფილისის ყველა დაწესებულებები შავი ძაძით იქნა შესუდრული. ყველგან გამოკიდული ქნა წითელი დროშები შავი არშით, გლოვა... გლოვა... ყველგან გლოვა...

◆ 27 იანვარს, ლენინის დაკრძალვის დღეს მთელს საბჭოთა ფედერაციაში მოხდებდა დიდი სამგლოვიარო დემონსტრაცია.

◆ ყოფილ მენშევიკების საყურადღებოდ. ყველა თბილისში მყოფი ყოფილი მენშევიკი, რომელსაც მიღებული აქვთ მონაწილეობა რომელიმე კონფერენციაზე ან ყრილობაზე, აგრეთვე ისინიც, ვისაც გამოცხადებული აქვთ პრესაში ჩვენს პლატფორმაზე დადგომის შეცხადება, ვალდებულნი არიან 31 იანვრამდე გამოცხადდნენ კომისიაში (სასტუმრო „ნოე“ ოთახი № 102) და შეავსონ ანკეტა, (ეს არ ეხება იმთ, ვისაც უკვე შეესებულები აქვთ ანკეტა).

სხვა და სხვა ამბები:

◆ ინგლისში შესდგა მუშათა პარტიის მთავრობა მაკდონალდის მეთაურობით.

◆ თემთა პალატა 12 თებერვლამდე დაითხოვეს.

◆ გაზეთების ცნობით მაკდონალდის მთავრობა პირველ რიგში მოაგვარებს უმუშევრობის საკითხს და ევროპის საქმეებს. ამ პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა სამკვირამდი.

◆ იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას სურს დაამყაროს კეთილ მფობოლური ურთიერთობა რუსეთთან, რაც შეიძლება ჩქარა.

◆ შეცდომის გასწორება. „სიმართლის ხმა“—ში № 10 წერილი „ისტორიული დოკუმენტები“ შეცდომით მოწერილია გიორგი ვარდლიანის მიერ. ვარდლიანის მაგივრად უნდა იყოს აკ. კალაძე. იმავე ნომერში მეტების ციხის რეზოლუციაში ხელს აწერს ალ. რეკიბიშვილი, უნდა იყოს: ალ ქეშოშვილი.

- სარედაქციო კოლეგია:
- ა. ფარნიევი.
 - ა. რუხაძე.
 - კ. თოფაძე.
 - კ. შენგულია.
 - გ. ვარდლიანი.